იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბუტ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 2-4 ივლისი. 2021 წ. №145-146 (9264-9265) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

1-5 ივლისი:

გარდაუვალი შფოთი?!



დაპირისპირების მიუხედავად... პოლიციას მადლობას უხდიდნენ!

დედაქალაქის იმ უბანში, სადაც „თბილისი პრაიდის“ კვირეულის პირველი ღონისძიება უნდა გამართულიყო, გუშინ, ბუნებრივია, ბევრი პოლიციელი მივიდა. მათი ძალისხმევით საგანგაშო დაპირისპირება არ შედგა.

„თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა ქვები და კვერცხები დაუშინეს კვირეულის ორგანიზატორებს და მონაწილეებს.

გუშინვე დაგეგმილი იყო დოკუმენტური ფილმის დახურული ჩვენება, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ელჩები და ლგბტ-ს აქტივისტები.

„ჯერჯერობით, სასიამოვნოდ გაოცებული ვარ. ნამდვილად არ გვეთქმის საყვედური. მადლობას ვუხდით პოლიციას, რომ ჩვენს უფლებებს იცავენ. იმედი მაქვს ბოლომდე ასე ვაჟკაცურად დაგვიცავენ“ — ამბობდნენ ლგბტ-ს აქტივისტები.

„პატარა ბილიკი იყო, საიდანაც აპირებდნენ გარყვნილებაში მყოფი პირების შეყვანას ფილმის ჩვენებაზე. ამ ბილიკზე იყო დავა... პოლიცია თუ არ დაეხმარება, კინოში ვერ შევლენ, თუ რომელიმე ელჩს კვერცხი მოხვდება, ღირსიც იქნება“ — „განრისხებული“ იყო გურამ ფალავანდიშვილი...

„პრაიდის“ პერიპეტიები 5 ივლისამდე გრძელდება...

უფრო ვრცლად გაზეთის მორიგ ნომერში მოგითხრობთ!

შეთანხმების ჩამფლავებლები

ასე ჩემო მამუკაო, სამართალი რა უყავო?!.

5

რატომ ემტერებოდა კედროვი ბერიას?

ძიება სიმართლისა გრძელდება...

6

აღმოჩენილია ლევან მეფის აკლდამა

12

სალომე ზურაბიშვილი პარიზში ემანუელ მაკრონს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პარიზში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გუშინ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს შეხვდა.

ელისეს სასახლეში, საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებისა და განვითარების საკითხები, რეგიონში მიმდინარე პროცესები, ევროკავშირის როლი რეგიონში და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები.

საქართველოს და საფრანგეთის პრეზიდენტებმა ისაუბრეს „დიმიტრი ამილახვარის სახელობის ფრანგულ-ქართული დიალოგის“ აღდგენის საკითხზე, რომელსაც ხელი ორმა პრეზიდენტმა 2019 წლის თებერვალში პარიზში მოაწერა და რაც თანამშრომლობის ამ უნიკალურ ფორმატში საქართველოსა და საფრანგეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების მთავარ ასპექტებს მოიცავს და ასახავს ამ თანამშრომლობის ხარისხსა და ინტენსივობას.

საქართველოს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული ვითარების, საოკუპაციო რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ადამიანთა გატაცებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

მხარეებმა ასევე განიხილეს მიმდინარე წელს, საფრანგეთში ქართული ემიგრაციის 100 წლისთავის აღნიშვნის საკითხი.

არსებობს თუ არა არამიწიერი სიცოცხლე?!

8

ხუთი ექსპერტის დამაინტრიგებელი პასუხი ამ კითხვაზე...

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი მთავარი ამოცანაა, ჩვენი ქვეყანა მეტად თვითუზრუნველყოფილი გახდეს!

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად თვითუზრუნველყოფილი გახდეს. იმპორტის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არ ვართ, მაგრამ ჩვენ მეტის წარმოება შეგვიძლია ქვეყანაში და ამ მიზნით წარმოგიდგენთ პროგრამებს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების მეტ ჩართულობას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის „გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება 2030“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ დავიწყეთ გრძელვადიანი განვითარების გეგმებზე მუშაობა. მთავრობამ დაასრულა უკვე პირველად დოკუმენტზე სამუშაოები და დღეიდან ჩვენ ვიწყებთ თემატურ განხილვებს. დღეს წარმოგიდგენთ სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი ხედვის ძირითად დეტალებს. ამ პრეზენტაციას ჩაატარებს ბატონი ლევან დავითაშვილი. მე მინდა მას და მის გუნდს დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. მათ დეტალურად წარმოადგინეს ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა. მე აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში მთავრობის მხრიდან ჩადებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 2 მილიარდ ლარს. ამის გარდა, კერძო სექტორის მხრიდან დაახლოებით მილიარდი ლარის ინვესტირება განხორციელდა ამ სექტორში. ჩვენი ამბიციური გეგმის მიხედვით, მომდევნო წლების განმავლობაში მთავრობის და კერძო სექტორის ერთობლივი ინვესტიციის საერთო მოცულობა შეადგენს 7 მილიარდ ლარს. შედეგად, ჩვენი გათვლებით, პროგრესი იქნება უფრო მეტად ინკლუზიური, ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მოქალაქის დასაქმება, ჩვენი მოქალაქეების მეტი ჩართულობა სოფლის მეურნეობაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგულისხმობთ რეგიონების განვითარებას, გაძლიერებას. ასევე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და ამოსავალი წერტილი არის ის, რომ მეტად თვითუზრუნველყოფილი გახდეს ჩვენი ქვეყანა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი იმპორტირებული პროდუქტი შემოგვაქვს. ჩვენ არ ვართ, რა თქმა უნდა, იმპორტის წინააღმდეგი, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია მეტის წარმოება ქვეყანაში და სწორედ ამ მიზნით ჩვენ წარმოგიდგენთ იმ პროგრამებს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების მეტ ჩართულობას, მეტ ინკლუზიურობას. მე მინდა ლევან დავითაშვილს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. ის არის ძალიან კვალიფიციური, მაღალი პროფესიონალის მენეჯერი და მინდა მას და მის გუნდს წარმატება ვუსურვო“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კახა კუჭავა: დასრულდა ის დრო, როდესაც ვინმე თანამდებობიდან იძულებით მიდიოდა!..

დასრულდა ის დრო, როდესაც ვინმე თანამდებობიდან იძულებით მიდიოდა — ვიმედოვნებ, რომ ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცესი ღია და ინკლუზიური იქნება და შეირჩევა კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ განაცხადა.

„უმნიშვნელოვანესია, რომ ყველანაირი პროცესი, მით უმეტეს, ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის არჩევის პროცესი იყოს სრულად ინკლუზიური, გამჭვირვალე და კითხვის ნიშნები არ დარჩეს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამაზე, მე მგონი არც არავინ არის წინააღმდეგი და თუ რამე მოსამზადებელი პროცესი წარიმართება პარლამენტში, აუცილებლად იქნება უზრუნველყოფილი, რომ იყოს ბოლომდე გამჭვირვალე და იყოს ყველას ჩართულობა. ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევისას კრიტერიუმები ალბათ, ყველასთვის ცნობილია — დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ამ საქმის პროფესიონალიზმი, რომელიც უნდა იყოს ალბათ, გამოცდილებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია...

რაც შეეხება პროცესს, ფაქტია, რომ პარლამენტში გადაინაცვლებს ეს პროცესი და საჭიროა, კონსენსუსით მოხდეს ამის შეთანხმება. თუმცა, არის შესაბამისი მექანიზმებიც, რომელიც გამორიცხავს ჩიხში შევიდეს ეს პროცესი, ამიტომ მე ვიმედოვნებ, რომ ღია და ინკლუზიური პროცესი იქნება და შეირჩევა კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს.

დასრულდა ის დრო, როდესაც ვინმე თანამდებობიდან იძულებით მიდიოდა, მით უმეტეს, მას ჰქონდა გარანტირებულად არჩეული ვადა და მას შეეძლო ეს ვადა გამოეყენებინა ბოლომდე, ამიტომ ზედმეტია ამაზე საუბარი.

„ძალიან სამწუხაროა, როდესაც ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა, ხდება ტალახის სროლა და ბოლომდე განადგურება ადამიანის და შემდეგ ვერც ამტკიცებ იმას, რასაც ამბობდი, არ გაქვს არგუმენტები. რა თქმა უნდა, პიროვნულად რთულია ამის გადატანა. პოლიტიკოსებს ეს ხშირად გვაქვს გავლილი, როდესაც სრულიად უარგუმენტოდ ხდება კრიტიკა და მიწასთან გასწორება და შემდეგ ვერც ამტკიცებ, რეალური მიზეზი ან არგუმენტი რა იყო... თამარ ჟვანიამ თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება და მე არ მიკვირს, თუმცა მე ვისურვებდი, რომ ის ადამიანები, რომლებიც მას გარკვეულ საკითხებში ბრალს დებდნენ და ეს ვერ დაადასტურეს, ეყოთ ის ღირსება, გამოვიდნენ და მას ბოდიში მოუხადონ“.

პრეზიდენტმა გაეროს გენერალურ მდივანთან ზაზა გახელაძის საკითხი განიხილა

საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალურ მდივანთან უკანონოდ დაკავებული ზაზა გახელაძის საკითხი განიხილა და საერთაშორისო თანამეგობრობას მის გათავისუფლებაში დახმარება სთხოვა, — ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს. მათი განცხადებით, აღნიშნული საკითხი საქართველოს პრეზიდენტმა პარიზში, საერთაშორისო ფორუმში Generation Equality Forum ფარგლებში, ანტონიო გუტიერეშთან გამართულ პირისპირ შეხვედრაზე დააყენა.

„საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობასა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, მათ შორის საოკუპაციო რეჟიმის მიერ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და ადამიანთა უკანონო გატაცებებს“, — აცხადებენ პრესსამსახურში.

გერმანია და გაერთიანებული სამეფო საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს

— ნათქვამია გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც საგარეო და თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობის გაძლიერებას შეეხება. დოკუმენტში, რომელსაც ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოაწერეს ხელი, საუბარია, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონზეც.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების, სტაბილურობის, კეთილდღეობის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისადმი და მხარს ვუჭერთ მრავალმხრივ თანამშრომლობას“, — ნათქვამია დოკუმენტში. აქვე, ორივე ქვეყანა ხაზს უსვამს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების აუცილებლობას.

დღევანდელი მოხმარების პირობებში ენგურჰესს ელექტროენერგიაზე აფხაზეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებს ელექტროენერგია შეუზღუდავად მიაქვთ. უკვე იმაზე კი არ არის საუბარი, რომ საქათველოს დანარჩენ რეგიონებს არაფერი რჩებათ, არამედ იმაზე, რომ ელექტროსადგური ასეთ პირობებში ვეღარ იმუშავებს, რადგან შემოსავალი არ გააჩნია. აფხაზებს მისი დენი სრულიად უფასოდ მიაქვთ.

2018 წლის მაისში აფხაზეთმა დახარჯა 100,3 მლნ კვტ-სთ ენერგია, 2019-ში — 100 მლნ, 2020-ში კი — 158 მლნ კვტ-სთ. რაც შეეხება 2021 წელს, მაისში აფხაზეთში ყველა დროის რეკორდი მოიხსნა, მოხმარებამ 208 მლნ კვტ-სთ შეადგინა. ანუ, 2020 წელთან შედარებით ზრდა 40% იყო, ხოლო 2019-თან შედარებით 100%.

ენგურჰესის დირექტორის **ლევან მებონიას** ინფორმაციით, ჰესის სიმძლავრეების ასეთი მოხმარების დაკმაყოფილებისთვის მზად არაა, მაშინაც კი, თუ საქართველოს დანარჩენი მომხმარებელი სექტემბერ-აპრილში არც ერთ კვტ-სთ-ს არ მიიღებს. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია — ენერგიის აღრიცხვა, ტარიფის დადგენა და გადაუხდელობის გამო ენერგიის მიწოდების შეწყვეტა. სხვა გამოსავალი არ არსებობს და თუ ეს არ გაკეთდა, აფხაზეთში ისევ ენერგოდეფიციტია მოსალოდნელი.

„ელექტროენერგია, ისევე, როგორც ნებისმიერ, სხვა პროდუქტი, ფული ღირს. 1 მეგავატის სიმძლავრის ელექტროსადგურის აშენება 1,5 მლნ დოლარი ღირს. აფხაზეთი დეკემბერში 400 მლნ კვტ-სთ-ს მოიხმარს, ეს კი 100 მეგავატის სიმძლავრეებს მოითხოვს. მთელი ეს ხარჯები დაფარვას საჭიროებს, თუმცა ეს რეალურად არ ხდება“, — განაცხადა მებონიამ.

მისი პროგნოზით, როდესაც წყალსაცავში წყლის დონე დაიწევს, აფხაზეთი ელექტროენერგიის მიწოდებაში კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვების შემოღება გარდაუვალი იქნება — არაა გამორიცხული, რომ იანვარ-თებერვალში ელექტროენერგიის გათიშვამ დღე-ღამეში 10 საათს მიაღწიოს.

„ადრე შეთანხმებული იყო სადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიის ბალანსი: 40% — აფხაზეთს, 60% — დანარჩენ საქართველოს. ბოლო წლებში აფხაზურ მხარეს უკვე 50% მიჰქონდა, 2021 წელს კი უკვე 70%, თანაც უფასოდ. დარჩენილი 30%-დან მიღებული შემოსავალი ელექტროსადგურის მუშაობისთვის სრულიად არასაკმარისია“, — აღნიშნა მებონიამ.

თუ ეს მდგომარეობა მომავალშიც შენარჩუნდება, ელექტროსადგური ვერ იმუშავებს. მებონიას პროგნოზით, მოხმარების არსებული მასშტაბების შენარჩუნების შემთხვევაში წლის მანძილზე აფხაზეთში ენერგოდეფიციტი 400 მლნ კვტ-სთ-მდე გაიზრდება.

ენერგეტიკოსები თანხმდებიან, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გადანაწილება არასწორი და არასამართლიანი იყო. ძველებური სისტემით რომ არ უნდა მოხდეს დენის გადანაწილება, ამას საგანგებოდ ხაზს უსვამს ენერგეტიკოსი **მურმან მარგველაშვილიც.**

„პრობლემაა ისაა, რომ ენგურჰესთან დაკავშირებით არ გვაქვს თანმიმდევრული, სტრატეგიული გეგმა. თუ აფხაზეთში ენერგომოხმარების ტენდენციას შევხედავთ, 2020 წელსაც კი, მიუხედავად კორონავირუსის პანდემიის და ელექტროენერგიის მოხმარების კლებისა, აფხაზეთში 20-35%-იანი ზრდა დადასტურდა სხვადასხვა თვეებში.

ძალიან მატულობს იმ ელექტროენერგიის მოხმარება, რომელიც ენგურჰესიდან უფასოდ მიაქვთ. რასაკვირველია, კრიპტოვალუტის საწარმოებლად იყენებენ და თუ რამე ზომა არ მივიღეთ და მხოლოდ ჩავატარეთ ენგურჰესის რეაბილიტაცია, ვხარჯეთ რესურსები, რომ მერე აფხაზეთის მხარეს უფასოდ მივაწოდოთ ელექტროენერგია, ეს ჩიხში შეგვიყვანს. ასეთი დამოკიდებულება სტრატეგიის უქონლობის პირობებში, მხოლოდ ზიანს მოგვიტანს, ამიტომ გამოსავალია საპოვნი.

სამწუხაროდ, მიზანს და მასთან მისასვლელ გეგმას ვერ ვხედავ, არაფერი მსგავსი არ მსმენია. ჩვენ აფხაზეთის მხარეს უნდა დავანახოთ და მკაფიოდ დავაყენოთ საკითხი, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება ან ჩვენ სხვა საშუალება უნდა გამოვძებნოთ და თავი უნდა დაგვენებებინა ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის და სხვაგან დაგვეწყო სადგურების მშენებლობა. იქნებ ამ ქმედებით დაგვენახებინა, რომ უფასოდ ელექტროენერგიას მუდმივად ვერ მიიღებენ“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა, 45 მლნ ევრო დაჯდა, საიდანაც 38 მილიონი ევრო ევრობანკის სესხია და 7 მილიონი ევრო კი ევროკავშირის გრანტი.

ბექა დანელია

გარდაუვალი შფოთი?!

ვთხოვთ, თავი შეიკავონ „თბილისი პრაიდის“ მხარდაჭერისა და წახალისებისაგან!

საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს საპატრიარქო თბილისი პრაიდთან დაკავშირებით, რომელიც 1-5 ივლისს უნდა ჩატარდეს, განცხადებას ავრცელებს.

„როგორც ფართო საზოგადოებისთვის არის ცნობილი, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები ა.წ. 1-5 ივლისს გეგმავენ აქტივობებს;

ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ:

1. დაგეგმილი „პრაიდის“ ორგანიზატორების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საფარქვეშ ხდება არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა; იგი შეიცავს პროვოცირების ნიშნებს და კონფლიქტში შედის საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის ლეგალიზებას.

2. ჩვენ პატივს ვცემთ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, რაც ბუნებრივია, გულიხმობს არჩევანის თავისუფლებას. აღნიშნული მცირე ჯგუფის მიერ საკუთარი არჩევანის სხვებზე თავსმოხვევა ძალადობაა და ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური თუ სხვა კუთვნილების მიუხედავად ლახავს სხვის, — ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის უფლებას, თავისუფლებასა და არჩევანს.

3. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ლმობიერია ცოდვილთა მიმართ, მაგრამ არა ცოდვისადმი, ამიტომაც ვინმეს მიმართ გამოვლენილი სიძულვილი და ძალადობა ყოვლად მიუღებელია, მაგრამ, ასევე, მიუღებელია ცოდვით თავმოწონება და სხვებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა.

4. ლგბტქ+ „პრაიდის“ ორგანიზატორები აანონსებენ ე.წ. „ღირსების მარშს“, რომელსაც ღირსებასთან რეალურად კავშირი არა აქვს. ამით ხდება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღრევა და შინაარსობრივი, მიზანმიმართული გამრუდება, რაც მკვეთრად ნეგატიურ გავლენას ახდენს არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე და ლახავს ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს.

5. აღვნიშნავთ, რომ მსგავსი აქტივობებით ლგბტქ+ ინტერესების დაცვა კი არ ხდება, არამედ ხელი ეწყობა მცირე ნაწილისათვის გარკვეული დივიდენდების მიღებას, ხალხში კი ამ ჯგუფისადმი აგრესიის ხელოვნურად გაჩენას.

6. ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობა და ობიექტური რეალობის უგულვებელყოფა იწვევს დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას.

აუცილებელია, ჩვენმა საზოგადოებამ დაინახოს, რომ ევროპული დემოკრატია არ არის ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზროვნებისა და ცხოვრების წესის და მათი რელიგიური გრძნობების უარმყოფელი.

ამ და სხვა გარემოებებათა გამო მივმართავთ ევროპარლამენტის ლგბტქ+ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 30 წევრ პარლამენტარს და საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოთა ხელმძღვანელებს და ვთხოვთ, თავი შეიკავონ „თბილისი პრაიდის“ მხარდაჭერისა და მათი წახალისებისაგან. მივმართავთ ჩვენს ხელისუფლებას, ადეკვატურად შეაფასონ არსებული ვითარება, იმოქმედონ სახელმწიფო სტაბილურობისა და სამოქალაქო მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე და აარიდონ ქვეყანას დესტაბილიზაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებას, — გარდაუვალი შფოთი“, — ნათქვამია განცხადებაში.

სალომე ზურაბიშვილი: „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი აზრი

„ჩემთვის ძალადობის, მუქარის, ზეწოლისა და სიძულვილის ენის გამოყენების ყველანაირი ფორმა მიუღებელია. მიუღებელია, რადგან ეს ადამიანების კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა. მიუღებელია ჩემთვის, როგორც კონსტიტუციის გარანტისა და დამცველისათვის. „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს აქვთ უფლება, გამოხატონ თავიანთი აზრი და გამოიყენონ ის უფლება, რომელიც ყველას კონსტიტუციური უფლებაა, კონსტიტუციისა და კანონის მიერ დადგენილ ნორმებში“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შევიდა და ახლა საპარლამენტო თანამდებობებზეც განაცხადა პრეტენზია. პარტიის ლიდერმა **ხატია დეკანოიძემ** პარლამენტის თავმჯდომარეს **კახა კუჭავას** განცხადებით მიმართა, რომ საკუთარი პარტიის წევრები კომიტეტებში განემწესებინა. კონკრეტულად კი, „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ წევრებს სურთ საპარლამენტო თანამდებობები: **რამაზ ნიკოლაიშვილს, რომან გოცირიძეს, დავით კირკიტაძეს, ანა წითლიძეს, თინათინ ბოკუჩავას, დავით ხაჯიშვილს, დევი ჭანკოტაძეს, დილარ ხაბულიანს, მანუჩარ კვირკველიას, თემურ ჯანაშიას, ეკატერინე ხერხეულიძეს, ცეზარ ჩოჩელს, როსტომ ჩხეიძეს და ნონა მამულაშვილს.**

„ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო თანამდებობების დაკავების სურვილს ექსპერტები აფასებენ.

ანალიტიკოსი **ლადო ბოჟაძე** თვლის, რომ ხატია დეკანოიძის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ყველაზე უპრინციპო და არათანმიმდევრული პოლიტიკური ძალა. „ოპოზიცია პარლამენტში შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ შევიდა. „ნაციონალური მოძრაობა“ კი ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე აღმოჩნდა პარლამენტში, რომელსაც არალეგიტიმურს უწოდებდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი სწორედ პარლამენტში შესვლის შემდეგ, პარლამენტის რეგლამენტიდან გამომდინარე ითხოვენ 14-ვე კომიტეტში მოადგილის ადგილს. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. მათ არც შარლ მიშელის დოკუმენტი არ ავალდებულებდათ, რომ პარლამენტში შესულიყვნენ, მაგრამ შევიდნენ და ახლა თანამდებობებსაც ითხოვენ. ბუნებრივია, რეგლამენტიდან გამომდინარე ისინი ამ თანამდებობებს მიიღებენ.

რაც შეეხება 5 კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციამ უნდა მიიღოს და უნდა მართოს, სწორედ, შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამომდინარე, კომიტეტის თავმჯდომარეობებზე „ნაციონალურ მოძრაობას“ პრეტენზია ვერ ექნება იქამდე, ვიდრე მიშელის დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ“, — განაცხადა **ლადო ბოჟაძემ.**

ექსპერტი **გია აბაშიძე** კი მიიჩნევს, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში, რომლებიც ამ პარტიების მხარდამჭერები არ არიან, იყო ის მოლოდინი, რომ საკუთარი უპრინციპობის გამო, „ნაციონალები“ პარლამენტში მაინც შევიდოდნენ და მაინც დაიკავებდნენ იმ საპარლამენტო თანამდებობებს, რომლებიც მათ ეკუთვნით.

მაღა პოლიტიკაშიც მოდის...

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი რასაც იტყვის, ყველაფერი პირიქით ხდება. ასე რომ, მათი მხრიდან ეს ქმედება გასაკვირი ნამდვილად არ არის. თუმცა, აქაც უკვე დაბნეულობაა, იმიტომ, რომ მიხვდნენ ხატია დეკანოიძის წერილმა გარკვეული უხერხულობა, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილში კი ოხუნჯობა გამოიწვია. შემდეგ ლევან ხაბეიშვილმა უარყო, რომ მათ საპარლამენტო თანამდებობების დაკავება სურთ. ლევან ხაბეიშვილი რას იტყვის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ეს მან გულმოსულმა თქვა, იმიტომ, რომ იმ ჩამონათვალში მისი გვარი არ იძებნება. წარმოიდგინეთ, მათმა ტელევიზიებმა ნიკა მელიას ამერიკაში ვიზიტი ტრიუმფალურად წარმოადგინეს, ამასობაში კი ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ 3 ამერიკელ კანონმდებელს შეხვდა. სააკაშვილის ამერიკაში ჩასვლამაც კი არ უშველათ. ასე რომ, არაფერი გაგვიკვირდეს, უპრინციპობა „ნაციონალური მოძრაობის“ მახასიათებელია“, — გვითხრა **გია აბაშიძემ.**

ცნობისთვის, შარლ მიშელის დოკუმენტის თანახმად ხუთი კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციის წევრი უნდა იყოს. ამ თანამდებობას მხოლოდ ევროსაბჭოს პრეზიდენტის დოკუმენტის ხელმომწერებს შეეძლებათ. ასე რომ, კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ვერ დაიკავებენ, რადგან დღემდე შარლ მიშელის დოკუმენტს ხელს არ აწერენ.

ქეთი გიორგაძე

გიორგი გახარია: ბრიუსელსა და აშშ-ში ვიზიტების დროს „ქართული ოცნება“ ჩვენი დასაცავი გახდა

იძ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია, ვინც სახელწიფო ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, არანაირი კომპლექსი არავისთან და სიმართლისთვის თვალის გასწორებისა, არ გვაქვს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ განუცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გვქონდა ძალზედ საინტერესო, ინტენსიური ვიზიტი ჯერ ბრიუსელში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში. სხვანაირად არ შევაფასებ, სხვებმაც შეაფასეს. ახლა არ მოვყვები, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტი. მარტივ რაღაცას გეტყვით, ჩვენი დასაცავი გახდა ამ ვიზიტების დროს „ქართული ოცნება“. არათანმიმდევრული, ხშირ შემთხვევაში სულელური ნაბიჯები, რომლებსაც პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელობა დგამს, ჩვენი დასაცავი გახდა მათი ეს ნაბიჯები, რადგან ხანდახან ივიწყებენ და ვერ იაზრებენ, რომ ისინი მარტო პარტიას კი არა, სახელმწიფოს მართავენ და თავიანთი არათანმიმდევრული, უსუსური ნაბიჯებით ქვეყანას და სახელმწიფოს აზიანებენ.

გახარიას თქმით, მისი გუნდის ასეთი მიდგომა ყოველთვის გაგრძელდება იქ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია.

„მარტივ მაგალითს მოგიყვანთ, ოკუპაცია ხომ არის ზეპარტიული საკითხი. ისევე, როგორც ვაქცინაცია და ვირუსთან ბრძოლა ზეპარტიული საკითხებია. მერწმუნეთ, რომ იქ, სადაც ჩვენი მოქალაქეები უკვე შეთანხმდნენ, რომ დეოკუპაცია ქვეყნის უმთავრესი მიზანია, ეს პარტიები რაზე ჩხუბობენ, დავობენ და ჭორაობენ, მე არ მესმის. საბოლოო ჯამში, მინდა, ერთი რამ გითხრათ, იქ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია, ვინც სახელწიფო ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, ჩვენ არანაირი კომპლექსი არავისთან და სიმართლისთვის თვალის გასწორების არ გვაქვს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

შალვა პაპუაშვილი:

ცუდია, როდესაც ყოფილი პრემიერი იტყუება!

— ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შალვა პაპუაშვილმა პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას დღევანდელი განცხადების საპასუხოდ აღნიშნა.

ყოფილმა პრემიერმა დღეს განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერც არჩევნების შედეგები დაიცვა, ვერც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და თავად მმართველმა პარტიამ შეუწყო ხელი თამარ ჟვანიას გადადგომას. როგორც პაპუაშვილმა საპასუხოდ აღნიშნა, გახარიამ არ იცის, რა იყო თამარ ჟვანიას გადადგომის წინაპირობები და მთლიანად ამ პროცესში ალბათ არ დააკვირდა, რომ თამარ ჟვანიამ დიდი სიმხნევე გამოიჩინა.

„მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის დღეებში ის იყო ზეწოლისა და ძალადობის ენის სამიზნე, მან ბოლომდე მიიყვანა საარჩევნო ციკლი. დადასტურდა, რომ ამ არჩევნებს არანაირი სისტემური ხარვეზი არ ჰქონია და რაიმე მანიპულაცია არ ყოფილა. მან საგამოძიებო კომისიასაც მისცა ახსნა-განმარტებები. საბოლოო ჯამში, ვრწმუნდებით, რომ მთლიანი კამპანია გაყალბებულ არჩევნებთან დაკავშირებით თავად იყო ყალბი. ვფიქრობ, თამარ ჟვანიამ თავისი ვალი ბოლომდე მოიხადა იმ კუთხით, რომ 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით არ დარჩენილიყო რაიმე პასუხგაუცემელი კითხვა. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა, რომ ახლა უმჯობესი იქნებოდა, პროფესიული განვითარების სხვა ეტაპზე გადასულიყო. დარწმუნებული ვარ, ასეთი გამოცდილი პროფესიონალი შეძლებს საარჩევნო სფეროში საინტერესო კარიერის წარმართვას“...

მერაბ ბოლქვაძე: თბილისში ევროპულ სტანდარტებს ვუახლოვდებით, რაც ნამდვილად სასიხარულოა

როგორც ვიცით, თბილისის მერმა საზოგადოებას 2018-2021 წლებში დედაქალაქის განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული შვიდი პოლიტიკიდან ერთ-ერთის – „თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა“ – პრეზენტაცია წარუდგინა.

– ბანული და არქიტექტურული მიმართულებით თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ რეფორმებს და განხორციელებულ პროექტებს „პროგრესნიუსთან“ ქალაქდამგეგმარებელი მერაბ ბოლქვაძე შეაფასებს.

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ არქიტექტურა ადამიანს ემსახურება და ჩვენ ადამიანებისთვის ვქმნით. გარდა იმისა, რომ არქიტექტურა ქმნის გარემოს, სადაც ნებისმიერ ჩვენგანს ცხოვრება გვიწევს, ის ყოფიერების სტილსაც გვკარნახობს.

რაც შეეხება მერიის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, ძალიან კარგია, რომ არქიტექტურის სამსახურს ურბანული მიმართულება გამოეყო და ურბანული განვითარების სააგენტო შეიქმნა, იმიტომ, რომ განვითარებული ქვეყნებისა და მოწინავე ქალაქების მერიებში ასეთი სამსახური ყოველთვის არსებობდა და არსებობს.

– თბილისში ასეთი სტრუქტურა პირველად შეიქმნა?

– საბჭოთა პერიოდში თბილისში არსებობდა არქიტექტურის სამსახური და ურბანისტიკაც აქვე მოიაზრებოდა. დამოუკიდებლობის პერიოდშიც არქიტექტურის სამსახური გვქონდა, მაგრამ ახლა, მერიის მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად, ურბანული სამსახური შეიქმნა, რაც მართლა ძალიან კარგია, მაგრამ საჭირო, რომ ურბანული სამსახური ევროპულ სტანდარტებს დავუახლოვდეთ. ამ თვალსაზრისით ნამდვილად გადაიდგა ნაბიჯები და ეს სასიხარულოა.

სურველია, რომ ის ტრანსპორტის სამსახურისგან დამოუკიდებლად, ცალკე არსებობდეს და ქალაქის განვითარებას და გენერალური გეგმის მოთხოვნებს ახორციელებდეს.

– ურბანული განვითარების სააგენტოს პირობებში მოხდებოდა თუ არა ის, რაც წლების წინ მოხდა? ქაოტურ განაშენიანებას და ე.წ.ბეტონის ჯუნგლებს ვგულისხმობ..

– ურბანულმა სამსახურმა სწორედ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება: რა სახეობაა დაგეგმილი, რა ინტენსივობის მაჩვენებელია. იმის დაშვებაც კი სამარცხვინოა, რაც ადრე ხდებოდა – ფულს თუ გადავიხდი, შემიძლია ნორმა დავარღვიო და კოეფიციენტი შევცვალო. თუ ქალაქი დაუშვებს, რომ კოეფიციენტების ყიდვა შეიძლება, ვერანაირი ურბანული სამსახური ვერ უშველის. ფაქტობრივად, რა ხდება? – თუ 1 ჰექტარ ტერიტორიაზე შეიძლება 250-260 კაცი ცხოვრობდეს, კოეფიციენტების გაზრდით იმას მიაღწიეს, რომ 300-ს გადააჭარბა. არადა, ტერიტორია გარკვეული რაოდენობის ადამიანს იტევს, რომელსაც თავისი მომსახურების ინფრასტრუქტურა ჭირდება: საინჟინრო, კეთილმოწყობა, გამწვანება, პარკირებისა და ტრანსპორტის საკითხები, სოციალური ობიექტები – სკოლა, საბავშვო ბაღი და ა.შ. 1 ჰექტარზე 250-260 ადამიანი არის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან კავშირშია, ამიტომ კოეფიციენტების გაყიდვა რომ არ შეჩერებულიყო, ვერანაირი სამსახური ვერ უშველიდა. სწორედ კოეფიციენტების გაყიდვის დამსახურებაა სპორტის სასახლესთან „ბეტონის ჯუნგლები“, ყიფშიძის ქუჩაზე რაც ხდება, მცხეთის ქუჩაზე გაუბედურებული არეალები და ა.შ. პირველი, რაც ქალაქის მერიას ვთხოვეთ, კოეფიციენტების გაყიდვის შეჩერება იყო. განვმარტეთ, რატომ არის ამის გაკეთება დაუშვებელი და საბედნიეროდ, ამჟამად, კოეფიციენტების გაყიდვა არ ხდება. რადგან ეს შეჩერებულია, ნამდვილად სწორია,რომ ურბანულმა სამსახურმა პროცესს მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს და სამშენებლო პირობები გასცეს.

– მწვანე სივრცეებისა და ლანდშაფტის დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?

– ამ მიმართულებით ნამდვილად იდგმება კონკრეტული ნაბიჯები. ვგულისხმობ როგორც არსებული პარკების განახლებას, ისე ახალი პარკების დაგეგმარებასა და მშენებლობას, რაც ძალიან კარგია. მწვანე რეკრეაციული არეალების დაცვა- განვითარება ცოტა აგრესიული პოლიტიკაც შეიძლება გვქონდეს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ტერიტორიის რაოდენობა 11 კვადრატულ მეტრზე ავიყვანოთ და ნელ-ნელა ევროპულ სტანდარტებს დავუახლოვდეთ. ამ თვალსაზრისით ნამდვილად გადაიდგა ნაბიჯები და ეს სასიხარულოა.

რომელ ქვეყნებშია სავალდებულო ვაქცინაცია?

„დიდი ოცეულის“ მხოლოდ 2 ქვეყანაში მოქმედებს სავალდებულო აცრა – საუდის არაბეთში, სადაც ეს ყველა დასაქმებულს ეხება და ინდონეზიაში, სადაც ვაქცინაციაზე უარის თქმა ჯარიმით ისჯება.

„დიდ ოცეულში“ ევროკავშირი, არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, ბრიტანეთი, გერმანია, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, კანადა, ჩინეთი, მექსიკა, თურქეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი, აშშ, საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა და იაპონია შედიან. ჯამურად მათზე მსოფლიო ვაჭრობის 80%, გლობალური მშპ-ის 90% და დედამიწის მოსახლეობის 60% მოდის.

ინდონეზიაში საყოველთაო აცრა ჯერ კიდევ თებერვალში შემოიღეს, თუმცა, ივნისში დაინფიცირების დონის მატების და ვაქცინაციის დაბალი ტემპების გამო, რეგულაცია გამკაცრდა.

კიდევ 4 ქვეყანაში – ინდოეთში, ჩინეთში, რუსეთში, და იტალიაში – სავალდებულო აცრა ან მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს ან ცალკეულ რეგიონებს შეეხება. მაგალითად, იტალიაში აცრა აუცილებელია მოხუცთა თავშესაფრების თანამშრომლებისთვის და სამედიცინო პერსონალისთვის.

მოხუცთა თავშესაფრების თანამშრომელთა სავალდებულო ვაქცინაციის შესაძლებლობა ავსტრალიაში, ბრიტანეთში და საფრანგეთში განიხილება. დასავლეთ ავსტრალიის შტატის გუბერნატორმა მარკ მაკგოვანმა განაცხადა, რომ ამ ზომას აუცილებლად მიიღებს მაშინაც კი, თუ ცენტრალური ხელისუფლება თავს შეიკავებს.

ბრიტანეთში მოხუცთა თავშესაფრების თანამშრომელთა სავალდებულო ვაქცინაცია უკვე ფაქტიურად მოქმედებს, თუმცა, ოფიციალურად ძალაში მხოლოდ სექტემბერში შევა.

საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრის ოლივიე ვერანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მოხუცთა თავშესაფრების თანამშრომლები ნებაყოფლობით არ აიცრებიან, მათი ვაქცინაცია სავალდებულო გახდება – ამისთვის მათ დრო აგვისტოს ბოლომდე მიეცათ.

ინდოეთში სავალდებულო აცრა შტატ გუჯარატში მოქმედებს და პირველი რიგში ბიზნესის იმ კატეგორიების თანამშრომლებს ეხება, ვისაც ადამიანებთან უშუალო კონტაქტი აქვთ – ძირითადად საუბარია მომსახურეობის სფეროზე. გარდა ამისა, გუჯარატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მომავალ ზამთარს არააცრილ სტუდენტებს გამოცდებზე არ დაუშვებს.

ჩინეთში აუცილებელია აცრა ქალაქ ჟუილში, სადაც დაინფიცირების ახალი კლასტერის გაჩენის საფრთხე დადასტურდა. მასმედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლებები მოქალაქეებს ვაქცინაციას არაოფიციალურად აიძულებენ.

თუმცა, ოფიციალური პეკინი ამ თაოსნებს ემიჯნება და სავალდებულო ვაქცინაცია, მით უმეტეს იძულებითს, საჭიროდ არ მიიჩნევს.

რუსეთში, ისევე როგორც ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში, აცრა სავალდებულოა სერვისში დასაქმებულებისთვის. ამ კატეგორიის ადამიანების მხრიდან აცრაზე უარის თქმა სამსახურიდან დათხოვნით ისჯება.

შტატებში და კანადაში ჯანდაცვის სექტორის პერსონალის აცრის შემაგულიანებელებელი ზომები შემოიღეს, თუმცა, ეს სავალდებულო აცრად ვერ ჩაითვლება, რადგანაც საბოლოო ჯამში ვაქცინაცია ნებაყოფლობითია.

ამერიკაში რამდენიმე შტატში საავადმყოფოების ადმინისტრაციებმა თანამშრომლებისგან აცრას სამსახურიდან განთავისუფლების მუქარით მოითხოვდნენ, თუმცა, ეს სახელმწიფო პოლიტიკა არაა და რამდენიმე შტატში სასამართლომ ასეთი მოთხოვნის წაყენება აკრძალა.

კანადაში სამედიცინო პერსონალს არჩევანი აქვს – ვაქცინაცია ან კვირაში 3-ჯერ პსრ-ტესტის ჩატარება. შესაძლებელია ასევე არააცრილი თანამშრომლისთვის ნებაყოფლობითი გადასვლა სხვა პოზიციაზე, სადაც დაავადების გადადების ნაკლები რისკია.

წყარო: RBC

კიდევ გაძვირდება თუ არა ბენზინი საქართველოში?!

ყატარში ჩატარებულ ეკონომიკურ ფორუმზე უმსხვილესი ნავთობკომპანიების ლიდერებმა, როგორებიცაა Exxon Mobil Corp, Royal Dutch Shell და Total განაცხადეს, რომ სექტორში ინვესტიციების უკმარისობის გამო, ნედლი ნავთობის ფასი, შესაძლოა, 4100-მდე გაიზარდოს.

ნავთობკომპანიების ხელმძღვანელები ორ სცენარს ვარაუდობენ, რომლებიც შეიძლება ბაზარზე განვითარდეს: ნავთობის ფასი შეიძლება 100 დოლარამდე გაიზარდოს ერთ ბარელზე, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ძლიერი არასტაბილურობის გამო.

investing.com-ის ცნობით, ფასის ზრდასთან დაკავშირებულ მოსაზრებას EXXON Mobil Corp-ის დირექტორი დარენ ვუდი უჭერს მხარს, რომელიც აღნიშნავს, რომ მცირე ინვესტიციები **„გაღრმავებს მოთხოვნა-მიწოდების დეფიციტს ეკონომიკის აღდგენის პროცესში, შემდეგ კი მოხდება გადაბალანსება, შესაბამისად, მოკლევადიან პერსპექტივაში ნავთობზე მაღალ ფასებს უნდა ველოდოთ“.**

ამასვე ადასტურებენ Trafigura Group, Bank of America lf Goldman Sachs Inc-იც.

წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა Brent-ის ნავთობი – 46%-ით, ასევt West Texas 6ntermediate – 70%-ით. რაც ბოლო ორნახევარ წელიწადში მაქსიმალური მაჩვენებელია.

ნავთობზე ფასების ზრდის მიზეზი ფართოდ გავრცელებული ვაქცინაციაა, რომელმაც მობილობა გააძლიერა და ასევე მოთხოვნა ბენზინზე გაიზარდა. დღეს ვხედავთ, რომ დასავლური ეკონომიკა კვლავ აღმასვლის კურსს ადგას, ევროპისა და ამერიკის გზები კვლავ გადატვირთულია და უფრო და უფრო მეტი ამერიკელი მოგზაურობს. ამან შეიძლება უახლოეს მომავალში ფასების მატება გამოიწვიოს, თუმცა გარკვეულ პერიოდში შეიძლება ეტაპობრივი შემცირებაც დაფიქსირდეს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი „კომერსანტთან“ გლობალური და ქართული ნავთობის ბაზრის ამჟამინდელ მდგომარეობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ლარის დასტაბილურებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ბენზინზე ფასები შენარჩუნდა.

„ზოგადად, ნავთობზე ფასი მიმდინარე ეტაპზე არის 2019 წლის დასაწყისის შემდგომ ყველაზე მაღალი. ნავთობის ფასი არა პანდემიამდელ ნიშნულს დაუბრუნდა, არამედ გაცილებით მაღალია. ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება გადასცდა 75 დოლარს. ამის განმსაზღვრელი რამდენიმე ფუნდამენტალური ფაქტორია, უმთავრესი გახლავთ ის, რომ მსოფლიო პანდემიიდან გამოდის, პარალელურად ხდება ეკონომიკის გახსნა, აღდგენის პროცესი. ეს ყველაფერი იწვევს მოთხოვნილების ზრდას და ამის პარალელურად OPEC პლუსი მოპოვების კვოტებს ამცირებს, რაც უზრუნველყოფს ნავთობის მიწოდების რეგლამენტირებას. გაზრდილია მოთხოვნა და შემცირებულია მოპოვება და წარმოება, თავისუფალი ნავთობი მსოფლიო ბაზარზე აღარ ტრიალებს და ფასები მიდის ზემოთ.

ჩვენ დამოკიდებული ვართ იმპორტზე, რაც ნიშნავს, რომ დამოკიდებული ვართ საერთაშორისო ფასებზე. ერთი ტონა ბენზინის ფასი 1 ივნისს იყო 656 დოლარი, დღეს – 705 დოლარია, ანუ 24 დღეში გაზრდილია ბენზინის საერთაშორისო ფასი. დიზელის შემთხვევაში, ერთი ტონა დიზელი იყო 564 დოლარი, ახლა არის 603 დოლარი – გვაქვს 40 დოლარიანი მატება. ამის პარალელურად, ლარის გაცვლითი კურსი მყარდება და საერთაშორისო ფასები იზრდება. ვხედავთ, რომ ლარის გამყარებამ ვითარება დაასტაბილურა, ფასები დასტაბილურდა. უფრო მეტიც, არაბრენდირებულმა სადგურებმა საშუალოდ 5 თეთრით შეამცირეს ფასები.

როგორც მსხვილი კომპანიები ვარაუდობენ, ნავთობზე მოთხოვნილება იზრდება, ისინი ასევე ამბობენ, დიდი ინვესტიციებიცაა საჭირო, რათა წარმოება იყოს სტაბილური, ეს გამოიწვევს იმას, რომ ნავთობის წარმოება არ იქნება ისეთი დიდი მოცულობის“, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

№ 145-146. პარასკევი-კვირა, 2-3 ივლისი, 2021 წელი.

ასე ჩემო მამუკაო, სამართალი რა უყავო?!.

„როცა „ლელო“, ნაციონალები და გახარიაც ერთ სასტუმროში აღმოჩნდნენ, პირველმა ხაზარაძემ ახსენა პარლამენტიდან შესაძლო გასვლის შესახებ“

„ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და პარტია „ლელოს“ პოლიტიკურ ალიანსში აღანაშაულებს. ამ ბრალდებით უპასუხა მმართველმა გუნდმა ოპოზიციური პარტიების უარს საარჩევნო კოდექსის მიღებისთვის მხარი დაეჭირათ.

საარჩევნო კოდექსი, რომელზეც პოლიტიკოსები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ და რომლის მიღება შარლ მიშელის დოკუმენტითაც არის გათვალისწინებული, ისევ პოლიტიკური დაპირისპირების საგანია. არ არის გამორიცხული, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი საერთოდ ჩავარდეს და 19 აპრილს მიღწეული შეთანხმებები არც ერთმა მხარემ აღარ შეასრულოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის ნაწილის მიერ მოწყობილი საბოტაჟის გამო მმართველმა გუნდმა 43%-იანი ჩამკეტი მექანიზმი აღარ აამოქმედოს.

თუკი **„ნაციონალური მოძრაობა“** და **„ლელო“** საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს, მომავალი საპარლამენტო არჩევნები სრულიად პროპორციულად, მაგრამ 2%-იანი ბარიერის დაწევის გარეშე ჩატარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ისევ ორპოლუსიანი პარლამენტი და პოლიტიკური ველი გქვონდეს. იმაზე არავინ დავობს, რომ ეს ყველაზე მეტად ენმ-ს აწყობს, მაგრამ რაში სჭირდება „ლელოს“, რომელიც პოლიტიკაში შემოსვლისას ამბობდა, რომ მესამე ძალა იყო და ქვეყანაში არსებულ ორპოლუსიან პოლიტიკურ ველს დაასრულებდა – გაუგებარია. ფაქტი ისაა, რომ „ლელომ“, როგორც საკუთარი ამომრჩეველი, ასევე დასავლეთი მოატყუა, ვინაიდან შარლ მიშელის დოკუმენტით აღებული ვალდებულება უკვე დაარღვია.

„ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილება არ გაჰკვირვებიათ, განსხვავებით „ლელოს“ პოზიციისგან – პარტია 19 აპრილის შეთანხმების ხელმომწერია. ცვლილებების მოწინააღმდეგეებს კი საკუთარი არგუმენტები აქვთ, თუ რატომ თქვეს უარი კანონზე, რომლის მიხედვითაც 2 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდება.

საარჩევნო კოდექსის საბოლოოდ რედაქტირებული ვერსია ცვლილებების 20 პუნქტს მოიცავს. პარტიებმა 8-თვიანი მუშაობის შედეგი 81-გვერდიან დოკუმენტში ასახეს. საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა მესამე მოსმენით გუშინ 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ მიიღო.

პროექტი ოპოზიციის ნაწილთან შეთანხმებული იყო, თუმცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და პარტია „ლელომ“ თავი შეიკავეს, ოპოზიციის მეორე ნაწილის შეფასებით კი, კანონი უპასუხებს შარლ მიშელის დოკუმენტის სულისკვეთებას.

პარლამენტის ფრაქცია „ლელო – პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრი **მამუკა ხაზარაძე** აცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მისთვის მიუღებელი იყო.

> **„ჩვენთვის რამდენიმე ფაქტორი გახდა იქ მიუღებელი და ამიტომ არ მივიღეთ მონაწილეობა კენჭისყრაში. ეს იყო მაჟორიტარებთან დაკავშირებით, უცბად 40 პროცენტიანი თემის შემოვარდნა, რაც არ განხილულა ინტენსიურად და ბოლო დღეს იქნა ჩაწერილი. ჩვენ შარლ მიშელის დოკუმენტში ვიცით ერთადერთი ციფრი, ეს არის 43 პროცენტი, სხვა პროცენტზე საუბარი არ ყოფილა. ასევე ჩვენთვის მიუღებელია პატარა პარტიების დასჯა, ხომ წარმოუდგენელია, რომ მამუკა ხაზარაძე „ლეიბორისტული პარტიის“ ინტერესებს იცავს, მაგრამ ასეა სამართლიანობა და არ აქვს მნიშვნელობა ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს.**
>
> **ამიტომ გადავწყვიტეთ, არ ვყოფილიყავით უბრალოდ ხელის მომწერები და სიურპრიზების გამო, შევიკავეთ თავი. ჩვენ ზედმიწევნით მივყვებით შარლ მიშელის დოკუმენტს და ამას ვითხოვთ ყველასგან“,** – განაცხადა **ხაზარაძემ.**

პარლამენტის ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ბოტკოველი** აცხადებს, რომ კანონპროექტი მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებს მოერგო და ამიტომ ენმ-სთვის ეს წითელი ხაზია.

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გივი მიქანაძე** „ლელოს“ მიშელის დოკუმენტის დარღვევაში ადანაშაულებს. როგორც გივი მიქანაძე ამბობს, საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მხარის არდაჭერით, „ლელო“ „ნაცმოძრაობის“ რიგებს შეუერთდა.

> **„საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს, რომ მათთვის ვიწრო პარტიული ინტერესები არის ყველაზე მნიშვნელოვანი, საზოგადოების და ქვეყნის ინტერესები არაფერს წარმოადგენს. მათ მართლაც უგულებელყვეს ის შეთანხმება, რომელსაც 19 აპრილს „ლელომ“ ხელი მოაწერა და ფაქტობრივად „ნაცმოძრაობის“ რიგებს შეუერთდნენ. ენმ დღემდე არ აწერს ამ დოკუმენტს ხელს და საერთაშორისო ღირებულებებს არ აღიარებს“,** – განაცხადა **გივი მიქანაძემ.**

ანალიტიკოსი **ვლადიმერ ბოჟაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ „ლელომ“ კოდქსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ხმის არმიცემით შარლ მიშელის დოკუმენტის პირობები დაარღვია. ხოლო ეს პრტია უკვე დიდი ხანია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად შეთანხმებულად მოქმედებს. პარტია, რომელსაც მესამე ძალაზე ჰქონდა პრეტენზია, ფაქტობრივად ენმ-ის თამაშს თამაშობს და მასთან ერთად უნისონში მოქმედებს.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ როცა „ლელო“, ნაციონალები და გახარიაც ერთ სასტუმროში აღმოჩდნენ, პირველმა ხაზარაძემ ახსენა პარლამენტიდან შესაძლო გასვლის შესახებ, რასაც ასევე ენმ დაეთანხმა. ბოჟაძე ამბობს, რომ „ლელო“ „ნაციონალების“ განრიგით და დღის წესრიგით მოქმედებას განაგრძობს, რაც მის რეიტინგზე კატასტროფულად აისახება.

მართალია, „ლეიბორისტული“ პარტია ახლა ყველაზე მეტად დაზიანდა, მაგრამ ამით „ნაციონალური მოძრაობა“ იხეირებს. საარჩევნო ადმინისტრაციაში კომისიის წევრები „ლეიბორისტული“ პარტიის წარმომადგენლების ნაცვლად ადგილებს **„ევროპელი დემოკრატები“** მიიღებენ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ბლოკში არიან. ამიტომაც ცოტა გასაკვირია, ენმ-ის თავის გამოდება, რადგანაც პირიქით, მათთვის სასარგებლო საქმე იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არსებობს საფრთხე, რომ საერთოდ საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ მივიღოთ, რომლის ინიცირებაც ჯერ არ მომხდარა.

> **„ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე 2%-იანი ბარიერი არ გვქონდეს. ენმ-ს მიშელის დოკუმენტზე ხელი არა აქვს მოწერილი და არც მხარდაჭერის ვალდებულება არა აქვს. ხოლო „ლელო“ ვხედავთ, რომ მათ ყველა ნათქვამს მხარს უჭერს. ამან კი, შესაძლოა, კიდევ უფრო სერიოზული ხელოვნური კრიზისის შექმნას. ყველა პარტიის ინტერესი იყო, რომ 2%-იანი ბარიერი ყოფილიყო და არა 5%-იანი. გამოვა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ეს პატარა პარტიები საერთოდ ვეღარ მოხვდებიან პარლამენტში“,** – ამბობს ბოჟაძე.

არსებობს თუ არა რეალური საფრთხე იმის, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი საერთოდ დაირღვეს, რადგანაც საარჩევნო კოდექსის ნაწილში უკვე პირობა არ შესრულდა? ბოჟაძე ამბობს, რომ არაფერია გამორიცხული, რადგანაც „ლელომ“ ეს ერთი შეთანხმებული პირობა უკვე დაარღვია და ახლა არსებობს საფრთხე, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებიც ვერ განხორციელდეს, რადგანაც 113 დეპუტატის ხმაა საჭირო. ასევე ამას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებული საკითხიც ემატება. ესეც პოლიტიკურ კონსენსუსს მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებას“ დამოუკიდებლად მოსამართლეების დანიშვნა მაინც შეუძლია. აქაც სასწორზე დევს კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და ის რეფორმა, რომელიც უკვე განხორციელდა. 8 თვის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა შეჩერებული იყო და ახალი კანონმდებლბით მოსამართლეების დანიშვნა დაიწყო.

> **„საერთაშორისო პარტნიორები, როგორც ჩანს, შიშობენ, რომ ოპოზიციამ ეს საკითხი, რაც მოსამართლეების დანიშვნას ეხება, მიშელის დოკუმენტის ჩასაგდებად არ გამოიყენოს და ეშინიათ. ყველას ძალიან დიდ შრომად დაუჯდა, რომ ეს ხალხი კარავიდან გამოგვეყვანა და პარლამენტში შეგვეყვანა. ამიტომაც თუ საკითხს ასე პირდაპირ მივუდგებით და შარლ მიშელის დოკუმენტში მოცემული პირობები არ შესრულდება, რა თქმა უნდა, ჩნდება ლოგიკური კითხვა – რატომ უნდა შეასრულოს მაშინ „ოცნებამ“ პირობა და 43%-იანი ჩამკეტი მექანიზმი აამოქმედოს? პირდაპირი გაგებით ხელისუფლებას ეს ვალდებულება არ დარჩება.**
>
> **ამნისტიის თემასთან დაკავშირებით მმართველი გუნდი მაინც აპირებს საკანონმდებლო ცვლილების მიღებას. თუ გავიხსენებთ 8 მარტის შეთანხმებას, მაშინაც „ნაციონალებმა“ და „ევროპელებმა“ საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი არ დაუჭირეს და ხელისუფლებამ სხვა პარტიებთან ერთად საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღო. ახლა „ოცნება“ ამას ფიზიკურად ვერ შეძლებს, რადგანაც გახარიას 6 დეპუტატი ჰყავს პარლამენტში და „ოცნებას“ 90 ხმა აღარ აქვს. სხვა საკითხების გადასაწყვეტად საკმარისია, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის არა“,** – ამბობს **ბოჟაძე.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი ამბობს, რომ როდესაც „ლელო“, როგორც პარტია ფუძნდებოდა, მაშინ მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ მისი პარტია დამოუკიდებელი იქნებოდა, რომელიც არავის მხარეს არ დაიჭერდა. ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ხაზარაძემ ამომრჩეველი მოატყუა და ის პირობა, რომ ალტერნატიული მესამე ძალა იქნებოდა, ბლეფი აღმოჩნდა. ახლა კი მისივე ამომრჩეველი მათ „ნაციონალებისგან“ ვეღარ განასხვავებს.

> **„ხაზარაძის პასუხი სრულიად აბსურდია და სუსტი არგუმენტი მოვისმინეთ, თითქოს მან დოკუმენტს ხელი იმიტომ არ მოაწერა, რომ 40%-იანი ბარიერი მაჟორიტარებთან დაკავშირებით დაწესდა. მან ხომ მშვენივრად იცის, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები სულ იმას ამბობენ, რომ არჩევნები კონკურენტუნარიანი უნდა იყოს და რაც შეიძლება საარჩევნო კოდექსში მეტი მაკონტროლებელი მექანიზმი იყოს, არჩევნებში ეჭვი არავის აღარ შეეპაროს და ისევ იმის ძახილი არ დაიწყონ გაყალბდაო. ამ გადაწყვეტილებით მან არათუ საკუთარი ამომრჩევლები, არამედ დასავლელი პარტნიორებიც მოატყუა. ასე რომ, ახლა უსუსური არგუმენტებით არასერიოზული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც, მაგალითად, ვითომ პარლამენტის ბოიკოტირებას არ აპირებდა და რამდენიმე ხნის წინ ნათქვამი სიტყვა მალევე გადათქვა. საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ოპოზიციის ერთ ნაწილს უპასუხისმგებლო განცხადებების მეტი არაფერის გაკეთება არ შეუძლია. რაც შემდეგ მათ რეიტინგზე აისახება და შემდეგ იგონებენ ტყუილებს, ვითომ ხმები გაყალბდა“,** – ამბობს **აბაშიძე** for.ge-სთან.

რაც შეეხება **„ლეიბორისტულ პარტიას“** აბაშიძე ამბობს, რომ ეს არ არის სადამსჯელო ღონისძიება კონკრეტული პოლიტიკოსის ან პარტიის მიმართ. მისი თქმით, ყველას ძალიან კარგად ახსოვს შალვა ნათელაშვილის მუქთახორული ქმედება 2008 წლის საპარლამენტი არჩევნების შემდეგ, როდესაც ოპოზიციის უდიდესმა ნაწილმა მართლაც და ბოიკოტი გამოუცხადა მაშინდელ პარლამენტს და არ შევიდნენ, ხოლო ნათელაშვილმა რაღაცა თვალთმაქცური წერილის გაგზავნით ბაქრაძესთან თავი დაიზღვია, დეპუტატი იყო და 4 წლის განმავლობაში ხალხის ფულს არაფრის კეთებაში იღებდა. პოლიტიკოსი აირჩიეს, მანდატი მიანიჭეს, ის კი, წლების განმავლობაში სამსახურში არ დადის, ხელფასს იღებს და დაფინანსებას. ამიტომ ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში სამსახურში არ დადის და ფულს ითხოვს, არაფერიც არ უნდა გადაუხადონ.

ლიკა ბერიკაშვილი

ᲫᲘᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ

ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ **სიჩუმე სუფევდა დარბაზში. 1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე ნიკიტა ხრუშჩოვი კითხულობდა მოხსენებას „პიროვნების კულტის“ შესახებ. დარბაზის უჩვეულო მდუმარებას დროდადრო არღვევდა აღშფოთებისა და გმობის გამომხატველი ხმები, ზოგჯერ — გმინვაც. ამბობენ, ზოგიერთ დელეგატს გული შეუღონდაო. თავზარდაცემული დარბაზი გაფაციცებით უგდებდა ყურს ხრუშჩოვის სენსაციურ მოხსენებას.**

და აი, დგება ერთ-ერთი ყველაზე გულსაკლავი წუთი. ხრუშჩოვი კითხულობს უდანაშაულოდ რეპრესირებული ძველი ბოლშევიკის მიხეილ კედროვის (1878-1941) წერილს, 1940 წელს რომ გაუგზავნია პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე:

„მე თქვენ მოგმართავთ ლეფორტოვოს ციხის პირქუში საკნიდან და გევედრებით, დამეხმაროთ. დაე, ჩემმა სასოწარკვეთილმა ძახილმა მოაღწიოს თქვენს სმენამდე. ამ ძახილს ნუ წაუყრუებთ! გამომექომაგეთ, დამიცავით! გთხოვთ მიშველოთ, რათა შეწყდეს ამ დაკითხვათა კოშმარი. მაჩვენეთ, რომ ყოველივე ეს იყო შეცდომა.

უდანაშაულოდ ვიტანჯები. გთხოვთ, მერწმუნოთ. დრო დაამტკიცებს ჩემს სიმართლეს. მე არა ვარ მეფის ოხრანკის აგენტი-პროვოკატორი, მე არა ვარ ჯაშუში. მე არა ვარ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი, როგორც ბრალს მდებენ დაბეზღებათა საფუძველზე. მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის პარტიისა და მთავრობის წინაშე. მე ვარ ძველი, ყოვლად უმწიკვლო ბოლშევიკი. თითქმის ორმოცი წელიწადი პატიოსნად ვიბრძოდი პარტიის რიგებში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

დღეს მე, 62 წლის კაცს, მემუქრება გამომძიებელთა ულმობელი, სასტიკი და დამამცირებელი მეთოდები ფიზიკური ზემოქმედებისა. მათ არ ძალუძთ მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და აღიარონ, რომ ჩემ საქმეს უკანონოდ და დაუშვებლად იძიებენ. ისინი ცდილობენ თავიანთი მოქმედება დაასაბუთონ იმით, რომ შეუპოვარ და მძვინვარე მტრად წარმომსახონ, დაჟინებით მოითხოვენ რეპრესიების გაძლიერებას.

მაგრამ დაე, პარტიამ იცოდეს, რომ უდანაშაულო ვარ და ამქვეყნად არ არსებობს არაფერი, რამაც პარტიის ერთგული შვილი, თუნდაც სული ამოხადონ, შეიძლება მტრად გადააქციოს.

გამოსავალი აღარა მაქვს. აღარ ძალმიძს ავიცდინო მოახლოებული ახალი და მძლავრი დარტყმები.

ჩემმა ტანჯვამ ზღვარს მიაღწია. ჩემი ჯანმრთელობა შერყეულია. ჩემი ძალ-ღონე და ენერგია დნება. ახლოვდება აღსასრული. მოვკვდე საბჭოთა ციხეში, სამშობლოს სულმდაბალი მოღალატის დაღით - პატიოსანი ადამიანისათვის ამაზე შემაძრწუნებელი რაღა შეიძლება იყოს?! ყოველივე ეს საშინელებაა! უსაზღვრო ტკივილი და ნაღველი ავსებს ჩემს გულს. არა! არა! ეს არ მოხდება! არ შეიძლება ეს მოხდეს! - ვყვირი. არც პარტია, არც საბჭოთა მთავრობა, არც სახალხო კომისარი ლ.პ. ბერია არ დაუშვებენ ამ სასტიკსა და გამოუსწორებელ უსამართლობას. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩემი საქმის დინჯად, ობიექტურად განხილვისას, თუკი აღარ იქნება უხეში ლანძღვა-გინება, უტიფარი დატატანება და საზარელი წამება, ყველა ამ ბრალდებათა უსაფუძვლობას იოლად დავამტკიცებ-

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲔᲛᲢᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲔᲓᲠᲝᲕᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ?

დი. ღრმად მწამს, რომ სიმართლე და მართლმსაჯულება გაიმარჯვებს. მე მწამს, მე მწამს!“

როგორც ჩანს, ხრუშჩოვი უჩვეულო სიმპათიით იყო განმსჭვალული კედროვის მიმართ. თავის მოხსენებაში ასე ვრცლად სხვა წერილი არ დაუმოწმებია და ასეთი გულისტკივილით სხვა არავინ უხსენებია. მისი სახელი თავის მემუარებშიც არ ავიწყდება და აღნიშნავს, რომ XX ყრილობაზე წასაკითხი მოხსენებისათვის მასალების მზადებისას განსაკუთრებით შეუძრწუნებია იმ ფაქტს, რომ კედროვი დაუხვრეტიათ, როგორც **„ხალხის მტერი“**.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲔᲓᲠᲝᲕᲘ

ხრუშჩოვის მოხსენებაში კედროვი გამოიყირება, ვითარცა მჭევრმეტყველი სიმბოლო უსამართლოდ დევნილთა, წამებულთა, დახვრეტილთა — მრავალთა და მრავალთა. მომხსენებელი ყველა რეპრესირებულს ხომ ვერ დაიმოწმებდა! ათასობით ტომები ვერ დაიტევდა მილიონთა წერილებს. ან კი უკვალოდ გამქრალ ადამიანთა ღაღადი სად უნდა მოეძიათ?!

და აი, ყველას მაგვარად, მილიონთა და მილიონთა სახელით, კედროვი აუწყებდა მთელ პარტიას, მთელ ქვეყანას, მთელ კაცობრიობას, რომ იგი უდანაშაულო დამნაშავე იყო, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს და სწამდა, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე დაამარცხებდა სიცრუეს, სიკეთე - ბოროტებას, სამართალი — უსამართლობას.

ხრუშჩოვმა ყველაზე სამაგალითო პიროვნების აღსარება გააცნო ყრილობას. კედროვის წერილს, ალბათ, უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა და, რასაკვირველია, მსმენელთაც ააცრემლებდა.

არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ხრუშჩოვის მოხსენების გამოისობით კედროვი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფურცლებზეც კი მოხვედრილა. მაგრამ მისი ბიოგრაფიული ცნობა, მიუხედავად დიდი მოცულობისა (ენციკლოპედიის კვალობაზე) არასრულია და არ შეიცავს იმ კოლორიტულ დეტალებს, რითაც აღბეჭდილია კედროვის ცხოვრება და მოღვაწეობა.

იმ ეპოქალური თხზულების ცრემლითა და სისხლით გაჟღენთილ ფურცლებზე, ავტორმა **„არქიპელაგი გულაგი“** რომ უწოდა, უთვალავ ტკივილთა და ვაებათა თხრობაში დისონანსივით შეჭრილა ერთი პასაჟი, რომელიც თავისებურ ნიშნის მოგებას წააგვს და შესაძლოა, გულდათუთქულ მკითველს გუნება ოდნავ გამოუკეთოს.

ალექსანდრე სოლჟენიცინი, მიუხედავად თავისი დაუცხრომელი სიძულვილისა სტალინისადმი, ხრუშჩოვისეული ლამის საყოველთაო რეაბილიტაციის პრინციპს უჭოჭმანოდ ღალატობს და სანიმუშო ობიექტურობას იჩენს. იგი 30-იანი წლების მეორე ნახევარში რეპრესირებულ პირთა ზღვიდან ცალკე გამოყოფს იმათ, ვინც **„უდანაშაულო დამნაშავე“** არა ყოფილა. ისინი, ოცი წლის მანძილზე, ქარს თესავდნენ და ქარიშხალი მოიმკეს; თავიანთი ხელითვე დანერგილი სისასტიკე საკუთარ ტყავზე იწვნიეს.

სოლჟენიცინი წერს: **„ისტორიამ ხანდახან მაინც იცის შურისგება, რაღაცნაირად ავხორცული ნაგვიანევი სამართალი, ოღონდ საამისოდ უცნაურ ფორმებსა და მოულოდნელ აღმსრულებლებს შეარჩევს ხოლმე.**

და თუკი ახალგაზრდა ტუხაჩევსკის, როდესაც ტამბოვის გლეხთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ გამარჯვებული ბრუნდებოდა მოსკოვში, ვაგზალზე არ დახვედრია ახალი მარუსია სპირიდონოვა (ცნობილი ტერორისტი ესერთა პარტიიდან), მისი შუბლი ტყვიით რომ გაეხვრიტა, თექვსმეტი წლის შემდეგ ეს განახორციელა სწავლადაუმთავრებელმა ქართველმა სემინარისტმა.

პეტერსი, ლაცისი, ბერზინი, აგრანოვი, პროკოფიევი, ბალიცკი, არტუზოვი, ჩუდნოვსკი, დიბენკო, უბორევიჩი, ბუბნოვი, ალაფუზო, ალკსნისი, არონშტამი, გეკერი, გიტისი, ეგოროვი, ულობა, კოვტიუხი, კორკი, კუტიაკოვი, პრიმაკოვი, პუტნა, საბლინი, ფელდმანი, ეიდემანი, უნშლიხტი, ენუქიძე, ნევსკი, ნახამკესი, ლომოვი, კაკტინი, კოსიორი, რუძუტაკი, გიკალო, გოლოდედი, შლიხტერი, ბელობოროდოვი, პიატაკოვი და ზინოვიევი — ყველა ესენი სიკვდილით დასაჯა ტანმორჩილმა მწითურმა ყასაბმა, თორემ ჩვენ მოგვიწევდა მოთმინებით ძიება იმისა, თუ რაში გაურია ხელი და რას მოაწერა ხელი ზოგიერთმა მათგანმა თხუთმეტი-ოცი წლით ადრე“.

დამოწმებული ფაქტი სოლჟენიცინის, ალბათ, ერთადერთი რევერანსია (იძულებითი და ირონიული რევერანსი!) **„სწავლადაუმთავრებელი ქართველი სემინარისტის“** ანუ **„ტანმორჩილი მწითური ყასაბის“** მისამართით. რა გაეწყობა,

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘᲐ

ქართული ანდაზისა არ იყოს, ყვავს კაკალი გააგდებინეო...

ზემოთ მოტანილი სიის სათავეში დგანან თვალსაჩინო ჩეკისტები, მათ მოსდევენ არანაკლებ თვალსაჩინო სამხედრო მოსამსახურენი, მერე კი დასახელებულ არიან კიდევ უფრო თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საკმაოდ შთამბეჭდავი სია ზუსტად ორმოცი სულისაგან შედგება. სოლჟენიცინის მიხედვით, ყოველ მათგანს, სხვადასხვა დოზით, ხელები სისხლში ჰქონდა გასვრილი. უდანაშაულო ზვარაკად ვერცერთს ვერ მონათლავ.

ავტორს, ეტყობა სახელდახელოდ, მეხსიერებაზე დაყრდნობით ჩამოუწერია პოპულარული სახელები და ზოგიერთი, არცთუ უმნიშვნელო ფიგურა გამორჩენია. სოლჟენიცინის სიას კიდევ არაერთი კაცი დაამშვენებდა, მათ შორის — ამხ. მიხეილ კედროვიც.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რატომ არ იცოდა რუსმა მწერალმა შალამოვმა ქიმია?

პატივაყრილი და კატორღული შრომით გატანჯული, შიმშილითა და სიცივით დაოსებული ვარლამ შალამოვი (1907-1982), სტაჟიან ტუსაღად გადაქცეული ყოფილი ახალგაზრდა მწერალი, დღეს რუსული პროზის სწორუპოვარ ოსტატად რომ არის აღიარებული, თითქმის ათი წელიწადი იქნებოდა, კოლიმის ნახევარკუნძულზე კონცლაგერში იხდიდა სასჯელს და აი, 1946 წელს, შალამოვმა ტუსაღი — ექიმის პანტიუხოვის წყალობით, უეცრად საფერშლო კურსების აბიტურიენტთა შორის ამოყო თავი. იხრჩობოდა და მაშველი რგოლი გადაუგდეს. როგორ არ ჩაებღაუჭებოდა! გამოცდებზე წარმატების შემთხვევაში კატორღული შრომაც, დამცირებაც, შიმშილიც და სიცივეც უკან დარჩებოდა. მართალია, ტუსაღი კვლავ ტუსაღად რჩებოდა, მაგრამ ადამიანური ყოფის ელემენტარული პირობები შეექმნებოდა და, რაც მთავარია, მოახლოებულ სიკვდილს გადაურჩებოდა! უკვე 40 წლისა ხდებოდა და ახლა სასკოლო პროგრამით შედგენილ გამოცდებს უნდა გადაეწყვიტა, ცოცხალი დარჩებოდა თუ კიდევ ერთი უსახელო, დანომრილი გვამი ჩაიმარხებოდა კოლიმის ყინულოვან ნიადაგში.

პირველ გამოცდას ისე ელოდა, როგორც შეყვარებული ყმაწვილი პირველ პაემანს.

სულ სამი გამოცდა უნდა ჩაებარებინა: რუსულში, მათემატიკასა და ქიმიაში. მოწოდებით მწერალს რუსული ენა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია. წერით გამოცდაზე ტურგენევის ტექსტი უკარნახეს. ხუთიანი დაიმსახურა და ზეპირი გამოცდიდან გაათავისუფლეს. მათემატიკაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ფრიადზე ჩააბარა. ტუსაღის გათოშილმა ტვინმა დროის საბედისწერო მონაკვეთში რაღაც სასწაულებრივი და აუხსნელი ძალისხმევით შეძლო თითქოს შეუძლებელი. ინტელექტის ფანტასტიკური მობილიზება მოხდა და შალამოვმა სწორად ამოხსნა ამოცანა. გამოცდამდე ერთი საათით ადრე და გამოცდიდან ერთი საათის შემდეგ, ვერაფრით ამოვხსნიდიო. უნდა ამოეხსნა და ამოხსნა!

მაგრამ ქიმიის გამოცდაზე ვერც ერთ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი და გამომცდელი გააოგნა. მან შალამოვის ფრიადებს თვალი შეავლო და მხრები აიჩეჩა, ამ ხუთოსანს ქიმიაში რაღა დაემართაო? აბიტურიენტის წარმატებამ რუსულსა და მათემატიკაში, ჩანს, გული მოულბო ქიმიის ყოფილ პროფესორს და სამიანი გაამეტებინა. ასე ჩაირიცხა მწერალი საფერშლო კურსებზე....

შალამოვი დაბადებული და გაზრდილი ყოფილა ქალაქ ვოლოგდაში.

ახლა იხილეთ ბედის დაცინვა! 1918 წელს ვოლოგდაში სამოქალაქო ომის ფრონტისა და ზურგის გასამაგრებლად საგანგებო მისიით ჩასულა ზემოხსენებული კედროვი და მისი პირველი განკარგულება გახლდათ 200 უდანაშაულო მძევლის დახვრეტა.

შალამოვი წერს: **„ჩვენი ქიმიის მასწავლებელი სოკოლოვი ამ მძევალთა რიცხვში მოხვდა და ამიტომაც არასოდეს მისწავლია ქიმია“.**

ეს აქცია იმ სისხლიანი დრო-ჟამის კვალობაზეც კი თურმე იმდენად უჩვეულო იყო, რომ მოსკოვმა კედროვს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. კედროვს თვალიც არ დაუხამხამებია და ჯიბიდან ამოაძვრინა კერძო ბარათი, რომელსაც ოქროს ფასი ედო, ვინაიდან იქ ეწერა შემდეგი: **„ძვირფასო მიხეილ სერგეევიჩ, თქვენ გნიშნავთ რესპუბლიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პოსტზე. გთხოვთ, არ გამოიჩინოთ სისუსტე. ლენინი“.**

სამოქალაქო ომში კედროვის მოღვაწეობის შესახებ უფრო ვრცლად მოგვითხრობს რუსი ისტორიკოსი **სერგეი მელგუნოვი** თავის წიგნში **„წითელი ტერორი რუსეთში, 1918-1923“.**


Ა. ᲡᲝᲚᲟᲔᲜᲘᲪᲘᲜᲘ

ავტორი ორიოდე ფრაზით გვიხატავს კედროვის საქმიანობას: **„შვილებს ხვრეტდნენ მშობლების თვალწინ. მშობლებს — შვილების თვალწინ. ამ მხრივ განსაკუთრებით მძვინვარებდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის („ვეჩეკა“) განსაკუთრებული განყოფიება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნახევრად დამთხვეული კედროვი“.**

არხანგელსკში ვის აღარ ხვრეტდნენ! 12-16 წლის გოგო-ბიჭებსაც კი ხვრეტდნენო. ადგილობრივ გაზეთში დროდადრო ქვეყნდებოდა დახვრეტილ პირთა სიები. არხანგელსკს „მკვდართა ქალაქი“ შეარქვეს.

მელგუნოვი აღნიშნავს, რომ კედროვმა 1200 ოფიცერი შეკრიბა და ბარჟაზე მოათავსა. მერე ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. 600-მდე კაცი დაღუპულა.

ვოლოგდაში ყოფნისას კედროვი, თავის ცოლთან ერთად, ცხოვრობდა მატარებლის ვაგონში რკინიგზის სადგურთან. დაკითხვები ტარდებოდა ვაგონში.

რებეკა მაიზელი, მეუღლე კედროვისა, გააფთრებით ისროდა სტერეოტიპულ ბრძანებებს: **„კედელს მიაყენეთ! დახვრიტეთ! დახვრიტეთ!“** არხანგელსკში საკუთარი ხელით დაუხვრეტია 87 ოფიცერი და 33 სამოქალაქო პირი. მისივე ბრძანებით ჩაძირეს ბარჟა, რომელზეც 500 ლტოლვილი იმყოფებოდა.

მელგუნოვი წერს: **„ამ დამთხვეულმა ქალმა, რომელსაც წყევლიან ასობით გაუბედურებული დედები და ცოლები, თავისი გაბოროტებით გადააჭარბა სრულიად რუსეთის „ჩეკას“ ყოველ მამაკაცს“.**

მაგრამ კედროვსა და მის მეუღლეს ათასჯერ მეტი სისხლიც რომ დაეღვარათ, პასუხს არ მოსთხოვდნენ. წინასწარ ჰქონდათ მიღებული უზენაესი ინდულგენცია, რომელიც ყოველგვარ უკანონობას, ყოველგვარ სისასტიკეს, ყოველგვარ სადიზმს ულაპარაკოდ მიუტევებდა კედროვებს.

ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲗᲐ ᲛᲫᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲠᲐᲪᲮᲘᲚᲘ ᲙᲔᲓᲠᲝᲕᲘ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ, ᲞᲘᲠᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲜᲣ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲤᲘᲖᲘᲒᲣᲠᲐ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ.

შალამოვის სიტყვით, კედროვი, წლების მანძილზე **„ჩეკაში“** და **„ენკავედეში“** მუშაობდა. მუდამ ვინმეს ამხელდა, თვალყურს ადევნებდა, აბეზღებდა, რევოლუციის მტრებს სპობდაო. „ენკავდე“ მბრძანებელი ეჟოვი თურმე ჭეშმარიტ ლენინელ-სტალინელ ნარკომად მიაჩნდა. მაგრამ ბერია, რომელმაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ეჟოვი შეცვალა 1938 წლის ნოემბერში, კედროვს არ ეჭაშნიკებოდაო. ბერიასთან ძველი ანგარიშები ჰქონია (ოციანი წლების დამდეგს ბერიას მუშაობას ამოწმებდა აზერბაიჯანში). კედროვი შეუდგა **„ნადირობას“** ბერიაზე, გადაწყვიტა, რომ თავის დაკვირვებათა შედეგები სტალინისთვის მოეხსენებინა. სტალინმა მისი წერილი ბერიას გადასცა. კედროვი დააპატიმრეს. ბერია პირადად ატარებდა დაკითხვას. კედროვმა ისევ მისწერა სტალინს. ამ წერილსაც იგივე ბედი ეწია.

შალამოვი წერს: **„არ ვიცი, სიკვდილის წინ ახსენდებოდა თუ არა კედროვს ვოლოგდაში დახვრეტილი მძევლები“.**

მაინც რატომ არ ეჭაშნიკებოდა კედროვს ბერია?

ძველ ანგარიშებზე მეტად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ ხანებში, როგორც გადმოგვცემს გამოჩენილი რუსი მწერალი **კონსტანტინე სიმონოვი,** ბერიას დანიშვნა გამოიყურებოდა იმგვარად, თითქოს სტალინმა საქართველოდან მოიხმო კაცი, რომელსაც კარგად იცნობდა, რომელსაც ენდობოდა და რომელსაც უნდა გამოესწორებინა ეჟოვის მიერ ჩადენილი ავკაცობანი.

სიმონოვის სიტყვით, ბერიას დანიშვნის შემდეგ, ვიდრე დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, პატიმრობიდან გაათავისუფლეს სამხედრო მოსამსახურეთა თითქმის ნახევარი (მათ შორის იყვნენ მომავალი მარშლები როკოსოვსკი და მერეცკოვი, სტალინის ფავორიტებად რომ იქცნენ).

ხრუშჩოვის მემუარებში ვკითხულობთ, რომ 1939 წლის თებერვალში ჩატარდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია, სადაც გმობდნენ „ენკავედეს“ საქმიანობაში მომხდარ ექსცესებს. შესუსტება ტერორისა, რომელიც მძვინვარებდა ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბერიას ზეგავლენას მიაწერესო.

მიჩიგანის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი **ლუის ზიგელბაუმი** რუსეთის არქივებიდან გვაწვდის დაზუსტებულ ციფრებს: **1937 წელს გამოტანილ იქნა 353074 სასიკვდილო განაჩენი, 1938 წელს — 328618, ხოლო 1939 წელს — მხოლოდ 2552 .**

კვლავ დავიმოწმოთ სიმონოვი:

> **„ჩვენი მაშინდელი წარმოდგენით, სტალინი ასწორებდა შეცდომებს, რომლებიც დაუშვეს ეჟოვმა და სხვებმა — ყველამ, ვინც კი აამღვრია წყალი. ხოლო ამ შეცდომათა გამოსასწორებლად დაინიშნა ბერია“.**

ამგვარად, კედროვს მოსწონდა ძერჟინსკი, მოსწონდა მენჟინსკი, მოსწონდა იაგოდა, განსაკუთრებით მოსწონდა ეჟოვი და მაინცდამაინც ბერია არ მოეწონა.


3. ᲨᲐᲚᲐᲛᲝᲕᲘ

და რატომაც არ მოეწონა, ამას თავისდაუნებურად, მაგრამ დამაჯერებლად განმარტავენ რუსი მწერალი სიმონოვი, ამერიკელი ისტორიკოსი ზიგელბაუმი და თავად ხრუშჩოვი, დამტირებელი კედროვისა.

რობერტ კონქვესტი, ავტორი რუსეთში ფრიად გახმაურებული წიგნისა **„დიდი ტერორი“,** სხვათა შორის, მოიხსენიებს კედროვსაც. იგი წერს:

> **„ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დაიმოწმა კედროვის წერილი, რომელიც სხვას რომ დაეწერა, უსაზღვროდ ამაღელვებელი იქნებოდა.**
>
> **მაგრამ სწორედ კედროვმა სამოქალაქო ომის დროს, „ჩეკას“ წარმომადგენლად რომ იმყოფებოდა არხანგელსკის ოლქში, სახელი გაითქვა უკიდურესი სისასტიკით.**
>
> **როგორი თანაგრძნობაც არ უნდა განვიცადოთ კედროვის მიმართ, ჩვენ განუზომლად მეტი სიბრალული გვიჩნდება იმ უდანაშაულო და უმწეო ადამიანებისადმი, რომლებმაც იგივე სატანჯველი იგემეს. მაგრამ ისინი ძველი ბოლშევიკები არ ყოფილან და მათი ვედრებანი ამიტომაც არ დაუმოწმებიათ საბჭოთა კავშირში“.**

მოამზადა

ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲖᲔᲛᲝᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ

რამდენიმე წელია მიმდინარეობს აჭარა-ადიგენის ცენტრალური გზის შეკეთება-აღდგენა. ხულოს რაიონული ცენტრიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, ტრაქტორით მუშაობის დროს მიწამ თავის ზედაპირზე ამოაგდო ერთი მარგალიტი — გათლილი ქვებით ნაშენი თაღიანი ხიდი.

26 თუ 27 ივნისს ქალბატონმა მადონა ბოლქვაძემ, ამისათვის მას გულწრფელი მადლობა, ინტერნეტით გაავრცელა ინფორმაცია ამ აღმოჩენის შესახებ და თაღიანი ხიდის ფოტოსურათი. იგი კარგად იყო შენახული და კარგადაც გამოიყურებოდა. გამოიყურებოდა-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი დროის ვანდალებმა, როცა ხიდის ფოტოსურათი ინტერნეტით გასაჯაროვდა, მეორე დღესვე იგი გაანადგურეს, ამ ინფორმაციამ უაღრესად ამაღელვა და კალამს მოვკიდე ხელი. ჩვენი დროის ბარბაროსებმა 1000 წლის მანძილზე (ხიდი IX-X საუკუნეებს განეკუთვნებოდა,) მიწის წიაღში შენახული ჩვენი მატერიალური კულტურის საგანძური ერთი ხელის დაკვრით აღგავეს პირისაგან მიწისა, ისე რომ, ვაიმშენებლებმა არქეოლოგების კონსულტაციის გარეშე, თვითნებურად მიიღეს გადაწყვეტილება.

მე არ ვიცი რომელი ფირმა აწარმოებს გზის აღორძინება, არც ის ვიცი, ვისი ბრძანებით დაანგრიეს ღირებული მატერიალური კულტურის ძეგლი? რა თქმა უნდა, არ ვიცი , იცოდა თუ არა ამის შესახებ ბატონმა თორნიკე რიჟვაძემ.

ვიცით, რომ დღეს აჭარაში 35 თაღიანი ხიდი აღირიცხება, რომელთაგან 13-ს შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი ხიბლი და ლაზათი. ასეთებია დანდალოს თაღიანი ხიდი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თამარის ხიდს ეძახის, გვაქვს ასევე მახუნცეთის, ფურტიოს, ვარჯენაულის და სხვა, სულ 13 ხიდი. დანარჩენი 22 ხიდი ისტორიული ქარტეხილების გამო ნანგრევებითაა ჩვენამდე მოღწეული, რომლებსაც სახელმწიფო იცავს. ისტორიკოსებმა ამირან კახიძემ, შოთა მამულაძემ, შალვა ვარშანიძემ არაერთი გამოკვლევა, ნაშრომი და წიგნიც კი მიუძღვნეს. ვინ არ იცის, რომ წლების წინ შეიქმნა და მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს ექვემდებარება. შექმნილია ასევე სააგენტოს აჭარის განყოფილება, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა, აღდგენა, მოვლა-პატრონობა, სულერთია მიწის ზემოთ იქნება თუ მიწაში. ამ მიწამ 10 საუკუნის მანძილზე უპატრონა და თავის გულში შემოგვინახა ეს შეუფასებელი მარგალიტი. მაგრამ გზის გაფართოების დროს მიწამ გახსნა პირი და მარგალიტები ამოგვიგდო ზედაპირზე. ახლად აღმოჩენილი ხიდი სათანადო კოსმეტიკური აღდგენის შემდეგ დაიკავებდა თავის ღირსეულ ადგილს ჩვენი მატერიალური კულტურის საგანძურებში.

ნეტავი, ვის თავში მოიხარშა ეს ვანდალური გადაწყვეტილება და რისთვის არსებობენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები?!

დარწმუნებული ვარ ჩვენი ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრები, არქეოლოგები, ცენტრალური მასმედია დაგულისყურდება ამ საკითხით, ხოლო საქართველოს კულტურის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელიც გამოირჩევა ამგვარი პრობლემებისადმი პრინციპული დამოკიდებულებით, მოვუწოდებთ მისთვის ჩვეული ყურადღებით მოეკიდოს, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა.



ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲘᲫᲔ,

პოეტი-ესეისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, საპატიო ბათუმელი.

106.7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝ ᲩᲥᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ საინვესტიციო ბანკმა, ევროკავშირის ბანკმა საქართველოს მთავრობას, ქვეყნის მთავარი საგზაო არტერიის — აღმოსავლეთ-დასავლეთის (E60) ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მოდერნიზებისათვის, დამატებით 106.7 მილიონი ევრო გამოუყო. ევროკავშირის ბანკიდან მიღებული სესხით დაფინანსდება ორი მონაკვეთის განახლების სამუშაოები: პირველი, ალგეთსა და სადახლოს შორის მდებარე 30-კილომეტრიანი მონაკვეთი, და მეორე, რუსთავსა და წითელ ხიდს შორის არსებული 32 კმ სიგრძის მონაკვეთი. ამ ორი განახლებული მონაკვეთით ავტომაგისტრალი შესაბამისად სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებამდე გაგრძელდება.

მოდერნიზაციის შედეგად ავტომაგისტრალზე გაიზრდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, შემცირდება მგზავრობისა და სატრანსპორტო საშუალების საექსპლუატაციო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები და გაძლიერდება საქართველოს ეკონომიკური და ტერიტორიული ერთობა. ამ სამუშაოების განხორციელების შედეგად ასევე გაუმჯობესდება და გაადვილდება კავშირები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

არსებობს თუ არა არამიწიერი სიცოცხლე?!

ივნისის ბოლო დღეებში პენტაგონის გაურკვეველ საჰაერო ფენომენთა სამუშაო ჯგუფი (UAP) ამოუცნობ მფრინავ ობიექტთა დადასტურების შესახებ ახალ მოხსენებას გამოაქვეყნებს. მისი კონტენტის შესახებ მრავალი სპეკულაცია გაჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება ჯერ არ გამოქვეყნებულა, The New York Times-ი ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით უკვე ასაჯაროებს გარკვეულ ცნობებს, რომლებიც მოხსენებაში იქნება. გამოცემის წყაროს განცხადებით, მოხსენება არ შეიცავს რაიმე აშკარა კავშირს 120-ზე მეტ ინციდენტსა და ბოლო ოცი წლის განმავლობაში გამოვლენილ UFO-ებს შორის.

თუ ამ წყაროს დავუჯერებთ, ჯერ კიდევ არ გვაქვს გონივრული საბაბი, რომ ცაში შემჩნეული ეს ამოუხსნელი ობიექტები არამიწიერ ცივილიზაციათა არსებობის მტკიცებულებად ჩავთვალოთ. თუმცა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არამიწიერი ცივილიზაციები სამყაროში საერთოდ არ არიან? და თუ არსებობენ, ვიპოვით ოდესმე? ან იქნებ ჩვენგან იმდენად განსხვავდებიან, რომ მათი „პოვნა“ შეუძლებელია?

სამეცნიერო გამოცემა The Conversation-მა ამ კითხვით ხუთ ექსპერტს მიმართა. მათგან ოთხს სჯერა, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ. მათ მიერ გაცემულ პასუხებს დეტალურად გთავაზობთ.

ჯონატი ჰორნერი, ასტრობიოლოგი:

ვფიქრობ, რომ პასუხი გადაჭრით არის „დიახ“. მაგრამ რეალურ კითხვას წარმოადგენს, არიან თუ არა არამიწიერი ცივილიზაციები ჩვენთან საკმარისად ახლოს, რომ მათი აღმოჩენა შევძლოთ?

კოსმოსი წარმოუდგენლად დიდია. გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გავიგეთ, რომ სამყაროში თითქმის ყველა ვარსკვლავს პლანეტები აქვს. ჩვენს გალაქტიკა ირმის ნახტომში დაახლოებით 400 მილიარდი ვარსკვლავია. თუ თითოეულ მათგანს ხუთი პლანეტა აქვს, მხოლოდ ჩვენს გალაქტიკაში ორი ტრილიონი პლანეტა უნდა იყოს. ამავე დროს ვიცით ისიც, რომ სამყაროში იმაზე მეტი გალაქტიკაა, ვიდრე პლანეტები ირმის ნახტომში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროში წარმოუდგენლად ბევრი პლანეტაა. ამხელა მრავალფეროვნებაში შეუძლებელია გჯეროდეს, რომ დედამიწა ერთადერთი პლანეტაა, სადაც სიცოცხლე არსებობს, მათ შორის, გონიერი და ტექნოლოგიურად განვითარებული სიცოცხლე. თუმცა საკითხავია, ვიპოვით კი ოდესმე ასეთ არამიწიერ სიცოცხლეს? რთული კითხვაა. წარმოიდგინეთ, რომ მილიარდში ერთ ვარსკვლავს აქვს პლანეტა, რომელზეც შესაძლებელია ტექნოლოგიურად მოწინავე სიცოცხლის განვითარება, რომელსაც ასევე შეუძლია, რომ თავისი არსებობის შესახებ დანარჩენ კოსმოსს გააგებინოს.

ამ შემთხვევაში, ჩვენს გალაქტიკაში 400 ვარსკვლავი იქნებოდა ტექნოლოგიურად მოწინავე სიცოცხლით. თუმცა, ჩვენი გალაქტიკა საკმაოდ დიდია — 100 000 სინათლის წელი ერთი ბოლოდან მეორემდე. ეს მანძილი იმდენად დიდია, რომ ეს ვარსკვლავები ერთმანეთისგან საშუალოდ 10 000 სინათლის წლით უნდა იყვნენ დაშორებული. ნამდვილად ძალიან შორია, რომ უცხოპლანეტელთა სიგნალები დავიჭიროთ (ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტში), თუ ისინი იმაზე გაცილებით ძლიერი არ არიან, ვიდრე ჩვენ მიერ გაშვებული სიგნალები. გამომდინარე აქედან, მიუხედავად იმისა, რომ მე არამიწიერი სიცოცხლის მჯერა, ვფიქრობ, რომ ამის მტკიცებულების პოვნა განსაცვიფრებლად ძნელი იქნება.

სტივენ ჭინგეი, ასტროფიზიკოსი:

დიახ, მაგრამ თამამი მტკიცებაა. ამიტომ, ნათელი გავხადოთ, რის შესახებ ვსაუბრობთ.

ტერმინში „უცხოპლანეტელი“ მე ვგულისხმობ ყველა სახის სიცოცხლეს, როგორც მას დედამიწაზე აღვიქვამთ, დედამიწის გარდა სხვა პლანეტის რეზიდენტს. გარდა ამისა, ამჟამად არ არსებობს დეტალური კონსენსუსი სიცოცხლის განსაზღვრების შესახებ. ძალიან კომპლექსური კონცეპტია. მაგრამ თუ დედამიწის მიღმა სადმე ბაქტერიის მსგავს რამეს ვიპოვით, მე მას არამიწიერ სიცოცხლეს ვუწოდებდი.

სამყაროში ასობით მილიარდი გალაქტიკაა, რომელთაგან თითოეულში შეიძლება მილიარდობით ვარსკვლავი იყოს. ამ ვარსკვლავთა უმეტესობას სულ მცირე ერთი პლანეტა აქვს. ეს პლანეტური სისტემები ელემენტთა მდიდარი ნაზავისგან წარმოიქმნება, მათ შორის იმ ელემენტებისგანაც, რომლებიც სიცოცხლისთვის გადამწყვეტად მიიჩნევა.

შესაბამისად, ძნელად დასაჯერებელია, რომ გარემოებათა განსაკუთრებული ნაზავი, რომელმაც სიცოცხლის აღმოცენება გამოიწვია, მხოლოდ დედამიწაზე მოხდა და არა სამყაროს ტრილიონობით სხვა პლანეტაზეც. თუმცა საინტერესოა, ეს სიცოცხლე ბაქტერიის მსგავსია თუ ტექნოლოგიურად მოწინავე ცივილიზაცია, რომელთან კომუნიკაციასაც შევძლებდით.

დიდი ძალისხმევაა მიმართული ისეთი არამიწიერი ცივილიზაციების საპოვნელად, რომლებიც შეიძლება ჩვენნაირ ტექნოლოგიებს იყენებდნენ, მაგალითად, მძლავრ რადიოტელესკოპებს რადიოტალღებით შორეულ პლანეტურ სისტემებთან კომუნიკაციისთვის.

და კიდევ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ისიც, რომ „სიცოცხლის“ ჩვენეული განსაზღვრება საკმაოდ ვიწრო იყოს და უცხოპლანეტელები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, სრულიად განსხვავებულ წესებს ეფუძნებოდნენ.

რებეკა ალენი, კოსმოსური ტექნოლოგიების ექსპერტი:

დიახ, მაგრამ სავარაუდოდ, ისინი ჩვენ არ გვგვანან.

მხოლოდ ჩვენს გალაქტიკაში სავარაუდოდ 100 მილიარდზე მეტი პლანეტაა (მათგან დაახლოებით ექვსი მილიარდი დედამიწის მსგავსი უნდა იყოს). გამომდინარე აქედან, დიდია ალბათობა, რომ სიცოცხლე ყველგანაა, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება.

როდესაც გვესმის სიტყვა „უცხოპლანეტელი“, ძირითადად წარმოგვიდგება ჰუმანოიდის ფორმის არსება. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ დედამიწაზეც კი, სიცოცხლის გაბატონებული ფორმა გაცილებით უფრო ძველი, პატარა და მტკიცეა.

რა თქმა უნდა, მიკროორგანიზმებზე ვსაუბრობ. ეს ორგანიზმები მეცნიერებას თავგზას უბნევს, რადგან არიან იქაც, სადაც სიცოცხლე თითქოს არ უნდა არსებობდეს, მაგალითად, ვულკანურ ღრმულთა გარშემო ნალექში. მე ფსონს სწორედ ასეთი „ექსტრემოფილების“ არსებობაზე ვდებ.

NASA-მ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გაგზავნა ციცქნა ნელამავალთა (წყლის დათვები) ჯგუფი, რათა ასტრონავტები დააკვირდნენ, როგორ გაართმევენ ისინი თავს ამ ექსტრემალურ გარემოს. მზის სისტემაში აღმოჩენილია სიცოცხლისთვის საკვანძო ინგრედიენტები და როგორც ჩანს, დედამიწის ყველაზე მტკიცე სიცოცხლის ფორმები მთელი გალაქტიკის მასშტაბით უნდა იყოს გავრცელებული.

თუმცა რაც შეეხება უფრო „მოწინავე“ სიცოცხლეს, რეალობა ის გახლავთ, რომ კოსმოსი უკიდეგანოა. კეპლერის კოსმოსური ტელესკოპის მისიისგან ვიცით, რომ ძნელია ისეთი პლანეტების პოვნა, რომლებიც დედამიწას ჰგავს. ამას დავამატოთ ისიც, რომ მოწინავე ფორმებამდე მიღწევისთვის სიცოცხლეს მილიარდობით წელიწადი დასჭირდა და ძალიან ცოტაა იმის შანსი, რომ სადმე არამიწიერ არსებათა ზუსტად ჩვენნაირი სახეობა ვიპოვოთ. იმედი მაინც არსებობს და მეცნიერები განაგრძობენ მოწინავე რადიოტელესკოპთა გამოყენებას ცაში ახალი ფორმის რადიოკომუნიკაციის საპოვნელად.

ჰელენ მეინარდ-კასლი, პლანეტური მეცნიერი:

იმ აზრზე ვარ, რომ მხოლოდ დროის საკითხია, როდის ვიპოვით ბიოლოგიის მსგავს რაღაც ისეთს დედამიწის მიღმა. იმიტომ, რომ მზის სისტემაში უკვე ბევრი ისეთი პოტენციური ადგილი ვიპოვეთ, რომელიც შეიძლება სიცოცხლისთვის ხელსაყრელი იყოს.

მაგალითად, არ დაგავიწყდეთ ევროპასა და განიმედეს (იუპიტერის მთვარეები) ყინულებქვეშ არსებული ოკეანეები: ამ ადგილებში ტემპერატურა ხელსაყრელია, არის წყალი და მინერალები. და კიდევ, ყველაფერს დედამიწის საზომით ვუყურებთ და ამ დროს, არამიწიერი სიცოცხლე შეიძლება ჩვენგან ძლიერ განსხვავდებოდეს.

სწორედ ამიტომ მხიბლავს ასე ძალიან სატურნის მთვარე ტიტანის სამომავლო კვლევები. ტიტანის ზედაპირზე მთელი რიგი საინტერესო მოლეკულებია, არის მათი ტრანსპორტირებისთვის საჭირო აქტიური ამინდის სისტემაც და ეს ყველაფერი ჩვენს მზის სისტემაში ხდება. ამავე დროს ვიცით, რომ ჩვენს გალაქტიკაში კიდევ სხვა უთვალავი მზის სისტემაა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სულ უფრო და უფრო გარდაუვალი ხდება, რომ სადღაც აუცილებლად ვიპოვით აქტიური ბიოლოგიის კვალს. მოგვესალმებიან? ეს უკვე სხვა საკითხია.

მარტინ ვან-კრანენდონკი, ასტრობიოლოგი:

ამ კითხვაზე მარტივი პასუხია, არა.

თუ წმინდა ემპირიულ მონაცემებს გამოვიყენებთ და ჩავთვლით, რომ კითხვა ეხება ადამიანთა საქმიანობასთან კავშირის არმქონე ნებისმიერი ტიპის სიცოცხლეს დედამიწის მიღმა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, პასუხი ამ კითხვაზე იქნება არა.

თუმცა, რა თქმა უნდა, ამ კითხვასთან მიმართებაში ჩვენი ცოდნა შეზღუდულია; სიცოცხლის ნიშნების საძებნელად სამყაროს ყველა კუთხე არ შეგვისწავლია და ისიც კი არ ვიცით, რისგან შეიძლება შედგებოდეს სიცოცხლე სხვანაირ ქიმიურ სისტემებში, რადგან აქ, დედამიწაზეც კი არ არსებობს შეთანხმებული განსაზღვრება ნახშირბადზე დაფუძნებული სიცოცხლის შესახებ.

გამომდინარე აქედან, უფრო სწორი პასუხი იქნება, რომ ჩვენ ეს არ ვიცით. უფრო მეტიც, ამ კითხვას შეიძლება ვერც ვერასოდეს გავცეთ პასუხი გადაჭრით. რა თქმა უნდა, ამის გასარკვევად გაცილებით მეტი კვლევაა ჩასატარებელი. იქნებ ერთ მშვენიერ დღესაც გავიგოთ, ახლომახლოს პლანეტათშორისი მეზობლები გვყავს თუ მართლაც მარტონი ვართ?! იქნებ ამის გაგება არც არასოდეს გვიწერია.

მომზადებულია The Conversation-ის მიხედვით.
მიხეილ ჟაბუკაშვილი

ჩინეთის ლიდერი ტყუილად არ იქადნება...

ჩინეთის ხელისუფლებამ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს არმიად უნდა გადააქციოს, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა სი ძინპინმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

სი ძინპინმა ასევე განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი არასდროს დაუშვებს, რომ უცხო ძალამ ის დააშინოს, დაჩაგროს ან დაიმორჩილოს.

„ის დრო, როდესაც ჩინელი ხალხი თავისი ბედის განკარგვის საშუალებას სხვებს აძლევდა, დამცირების ის ეპოქა, უკვე წარსულს ჩაბარდა“, — განაცხადა სი ძინპინმა.

მცვრისპირული – ლაჯვრული სიგრილე

თბილისის ავზნიანი, პაპანაქება სიცხის შესახებ წერს ყველა, ვინც, ბედის თუ უბედობის წყალობით, ივლის-აგვისტოში საქართველოს დედაქალაქში მოხვედრილა. ქალაქში ბაღებისა და ტყის სტიქიურმა გაჩეხამ გამოიწვია თბილისის ჰავის გაუარესება, გამოაცალა ჰაერს სიგრილე, გაზარდა ნიადაგქვეშა სინესტის აორთქლება და გააქრო წყაროები, რომლებიც, იყო დრო, ქალაქს 16 შადრევნისა და 59 აუზისთვის აწვდიდნენ წყალს.

სწორედ ამგვარი სიგრილეგამოცლილი დაუხვდა საქართველოს მთავარი ქალაქი ალექსანდრე პუშკინს 1829 წელს იმ თავისი ცნობილი მოგზაურობის დროს: „ტფილისი მდებარეობს მტკვრის ნაპირას კლდოვანი მთებით შემოსაზღვრულ ველში. ეს კლდეები, იცავენ რა ქალაქს ყველა მხრის ქარებისგან, ვარვარებენ მზეზე და უბრალოდ კი არ აცხელებენ ჰაერს, არამედ ადუღებენ. სწორედ ესაა მიზეზი აუტანელი სიცხისა, რომელიც ტფილისში მეფობს...

თეთრი ქალაქი მზის ალმურში თეთრად იწვოდა. სულის შემხუთავი ბუღი ზეცაში ოქროს მტვერივით იყო გაბნეული. ადამიანს სუნთქვა უჭირდა და ჩრდილს ეძებდა“, – ასეა აღწერილი ზაფხული „აივნიან ქალაქში“.

ტფილისში გამეფებული ამ აუტანელი სიცხისგან თავის დასახსნელად ბევრი გზა არსებობდა, მათ შორის თბილისური ღრმა და გრილი სარდაფები, მიტროფანე ლაღიძის გამაგრილებელი სასმელები, ძველი და ახალი ბაღები, სააგარაკე ადგილები შემოგარენში – კოჯორი, მანგლისი, კიკეთი... მთისა და ზღვის შედარებით შორეული კურორტები და ა. შ. თუმცა ყველაზე მარტივი, იაფი და ეფექტიანი მაინც მდინარეზე ჩასვლა იყო და ჩადიოდნენ კიდეც, ლამის ჩვენს დრომდე.

მტკვარზე ქცევის წესები

თბილისში მტკვარში ბანაობა 1980 წლის 10 აპრილს აიკრძალა „წყალზე უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების“ მიზნით. ბევრად ადრე, 1924 წლის 1 აპრილს, ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მდინარე მტკვარზე ნავებით მოძრაობის წესის დასადგენად გამოსცა სავალდებულო დადგენილება №60, რომლის IV პუნქტის მიხედვითაც, სასტიკად აიკრძალა მტკვარზე სეირნობა, ქეიფი და სხვ. მდინარეზე ნებადართული იყო ნავებით მხოლოდ ტვირთის გადატანა (მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე), წესების დარღვევა კი ისჯებოდა ორთვიანი პატიმრობით ან ჯარიმით „ას ჩერვონულ მანეთამდე“.

შესაბამისად, მტკვარზე „გადაბმული ტივებითა და ნავებით“ ქეიფი მკაცრად აიკრძალა, თუმცა მტკვარში შესვლა, თევზაობა და ბანაობა თბილისის ტერიტორიაზე ლამის გასული საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა.

მტკვარში შესვლა და გაგრილება არ იყო მხოლოდ თბილისელი ბიჭების გასართობი. გავიხსენოთ, მტკვრის პირას (ანჩისხატის მახლობლად) ჰყვებოდნენ „სურამის ციხის“ ამბავს ზაფხულის საშინელ სიცხეს გამორიდებული ყმაწვილები, რომლებიც „იბანდნენ, ჩაის მიირთმევდნენ და, წინასწარ დათქმული პირობის თანახმად, რიგრიგობით ამბობდნენ მოთხრობას, ანდაზას ან სხვა რაიმეს საქართველოს ცხოვრებიდან“.

აკი, იოსებ გრიშაშვილიც წერდა,„ანჩისხატის ეკლესიის ჩასწვრივ, მტკვრის ნაპირას, ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი ლიტერატორები, „ცისკრის“ თანამშრომლები და მსჯელობდნენ მშობლიურ ლიტერატურაზე. აქ დაიწერა ბარათაშვილის „ჩინარი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“. აქ ზაფხულობით, პატარა ლხინის დროს, თარს უკრავდა სიღნაღელი პოეტი დიმიტრი ბერიევი. ეს ადგილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო გასართობი და სასაუბრო კლუბი ჩვენთა მწერალთა ორმოციან წლებშიო“.

მრავალფეროვნება მტკვარზე

მტკვარში, თბილისის ტერიტორიაზე, შედიოდნენ ქალებიც. 1878 წელს „ივერია“ რეგულარულად აქვეყნებდა ქრონიკებს სასამართლო დარბაზიდან, სადაც განიხილებოდა ანდრეევსკის ქალის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმე. გაზეთი მოწმე ქეთევან ორბელიანის ჩვენებაზე დაყრდნობით წერდა, რომ „ანდრეევსკის ქალი ბანაობისას მტკვარში დამხვრჩალა“.

„ანდრეევსკის ქალი“ მიხეილ ვორონცოვის ცნობილი ექიმის ერასტ ანდრეევსკის ქალიშვილი იყო.

ასე შეგვიძლია გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანისა და მისი მეგობრების ინტენსიური ურთიერთობა მტკვართან, მეთევზეებსა და „მეჩანგლე“ ლოპიანასთან.

მტკვარში ბანაობას თან ახლდა უბედური შემთხვევები, რომელთა შესამცირებლად XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა წყალზე დამხსნელი საზოგადოება, რომლის განკარგულებითაც, როგორც 1894 წლის 20 დეკემბრის „ივერია“ წერდა, „კუკიის ხიდის ქვეშ მტკვარზე დაარსდა დროებითი სადგური, სადაც უნდა იმყოფებოდეს ვოდოპიანოვი თავის ნავით“. მენავეების ძალისხმევის მიუხედავად, ცხადია, მტკვარზე მაინც იხრჩობოდნენ ადამიანები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თბილისელებმა ცურვა მასობრივად არ იცოდნენ. როგორც აკადემიკოსი ვალერიან გაბაშვილი წერდა თავის ცნობილ ნაწარმოებში, „ძველ ტფილისში ქალაქელმა კაცმა ცურვაც ისევე იცოდა, როგორც რამე ხელობა ან ლაზათიანი ქეიფი“.

ძველი ტფილისის ცნობილი მკვლევარის იოსებ გრიშაშვილის თქმითაც, თბილისელმა მრავალნაირი ცურვა იცოდა: ძუარა, ფიცრული, ბაყაყური, ოფოფური და სხვა. „და ესეთ გაბედულ ცურვით თბილელ მეთევზე-მეჩანგლეებს არაერთი ადამიანი გადაურჩენიათ სიკვდილს“ („საიათნოვა“, ი. გრიშაშვილი, 1918 წ.)

ჰიგიენა და სპორტი

იოსებ გრიშაშვილი იმასაც ამბობს, **მტკვრის ცივ წყალში ტანის შენამვა ერთგვარი საშუალება იყო სხეულის სიმაგრე-სისაღისათვისო. მტკვარში ცურვა-ბანაობას, ცხადია, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მნიშვნელობაც ჰქონდა, ისევე როგორც დიდწილად მტკვარი წყვეტდა საგრძნობად გაზრდილი თბილისის ჰიგიენურ პრობლემებსაც.**

საქმე ისაა, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში, თბილისის მოსახლეობის მატების გამო, გოგირდის აბანოები ქალაქის გაზრდილ მოთხოვნას ვეღარ აუდიოდა. აბანოების გამტარუნარიანობა იმდენად შეზღუდული იყო, რომ თითოეულ მცხოვრებს საშუალოდ შეეძლო კომუნალური აბანოთი ესარგებლა წელიწადში მხოლოდ 4-ჯერ. ამასთან, ანგარიშგასაწევი იყო თბილისელთა მნიშვნელოვანი ნაწილის სიღარიბე და, შესაბამისად, აბანოების ფასიანი მომსახურებაც. გამოსავლის სახით თბილისის საბჭომ მტკვარზე საბანაოს გამართვა გადაწყვიტა, თუმცა იმავე 1905 წლის 12 მაისის „ივერიიდან“ ირკვევა, რომ საკითხის წინ წაწევა რამდენიმე მიზეზის გამო შეფერხდა:

„ხმოსანი ხუდადოვი: ამას წინათ ჩვენ გადავწყვიტეთ მტკვარზე საბანაოს გამართვა ინჟინერ კირაკოზოვის პროექტით. აგერ მაისი გადის და საბანაოს ხსენებაც არ არის. რა მიზეზია, ჰფიქრობთ თუ არა გამართვას?“ რაზეც ქალაქის მოურავი უპასუხებს: „ჯერ ერთი, რომ ამჟამად ამ მიზნისათვის ქალაქს ფული არა აქვს. როგორც ქალაქის საქმეების ანგარიშიდანა სჩანს, წელს ქალაქს აკლია შემოსავალი 160 000 მანათი, მაგრამ ესეც რომ არ იყვეს, მოიჯარადრემ განაცხადა, სხვადასხვა მიზეზების გამო საბანაოს აგება მარიამობის თვემდე შეუძლებელიაო. ჩვენც გადავსწყვიტეთ ეს საკითხი მერმისთვის გადავდოთ“.

მომდევნო წლების პერიოდიკიდან ცნობილი ხდება, რომ მთელი XX საუკუნის განმავლობაში, ვიდრე 70-იან წლებამდე, მტკვარს არ მოჰკლებია არც მობანავეები და არც მოყვარული თუ პროფესიონალი მოცურავეები. მტკვარზე ჰქონდათ ნასწავლი ცურვა პირველი თაობის თბილისელ წყალბურთელთა დიდ ნაწილსაც. ცნობილი წყალბურთელი ირაკლი ჩხიკვაძე მოგონებების წიგნში იხსენებს ერთ სახალისო შემთხვევას, როცა მტკვრისპირელმა მოცურავემ ინსტინქტურად აუზშიც გაითვალისწინა მტკვრის დინების სიჩქარე.

„ერთ კვირა დღეს შეჯიბრზე გამოცხადდა ჩვენი თანაკლასელი ხიტო ჩაკვეტაძე. ხიტო მტკვრის პირას ცხოვრობდა და ცურვაც იქ ჰქონდა ნასწავლი. ალალი ბიჭი იყო, მხიარული, თვალებში სულ ჭინკები უხტოდა. დადგა ჩვენი ხიტო სტარტზე. მესამე ბილიკი ერგო. სტარტიორმა დაიქნია დროშა და სხვებთან ერთად ხიტოც გადაეშვა წყალში. მოუსვა თავისი მტკვრისპირულით... როცა ამოსასუნთქად წყლიდან თავი ამოჰყო, მეექვსე ბილიკზე აღმოჩნდა“.

ამერიკელმა მწერალმა ჯონ სტაინბეკმაც, რომელიც თბილისს პირველად 1947 წელს ესტუმრა, უმალ შეამჩნია მტკვარი და მასში მობანავე თბილისელი ბიჭები:

„თბილისის ნაწილი ძალიან ძველია. ქალაქში ერთ მხარეს, კლდოვანი ნაპირის გაყოლებით, მდინარე მოედინება. მაღალ კლდეებზე ძველებური სახლები ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრიან... მდინარეში, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფდა, ასობით ბიჭუნა ბანაობდა“. ვინ იცის, იქნებ ამ ასობით მობანავე ბიჭუნას შორის იყო არჩილ სულაკაურის მოთხრობის („ბიჭი და ძაღლი“) მთავარი პერსონაჟი, რომელიც „მთელ დღეს მტკვრის პირას, რიყეზე ატარებდა, ხან ბანაობდა, ხან მზის გულზე იწვა და ნებივრობდა“:

„ბიჭი ჩქერში შევიდა და დინებას ცურვით დაჰყვა. ასე ჩაუარა წისქვილებს, მტკვარზე გადმომდგარ ხის აივნიან სახლებს. აივნიდან წაბლისფერნაწნავებიანმა გოგომ დაუქნია ხელი და გაუცინა. გუშინაც ასე მოხდა. ბიჭს არ ეგონა, თუ დღესაც აქ იქნებოდა გოგო. თვითონაც დაუქნია ხელი. მერმე რომ ეჩვენებინა, თუ რა მარჯვედ ცურავდა, ამოტრიალდა, ფეხები ჰაერში აიქნია და თევზივით გაუჩინარდა წყალში. როდესაც ამოყურყუმალავდა, აივანი უკვე შორს იყო“...

ასეთი ვითარება იყო მტკვარზე მდინარის შეგუბებამდე, ანუ 1954 წლამდე, ვიდრე ორთაჭალჰესი არ აშენდა და მტკვარმა არ დაკარგა ნაპირები, თუმცა ქალაქის ტერიტორიაზე მტკვარში ბანაობა ჯერ მაინც შეიძლებოდა, რასაც ადასტურებს 1969 წლის ფოტორეპორტაჟი ჟურნალ „დროშაში“. თბილისელი ბიჭები მტკვრის გრილსა და მღვრიე წყალს საბოლოოდ 1980 წლის 11 მარტს გამოცემული განკარგულების შემდეგ შეელივნენ... მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აკრძალვამდე 2 წლით ადრე, 1978 წლის 3 ოქტომბერს, მტკვრის უშუალო სიახლოვეში გაიხსნა ღია საცურაო კომპლექსი, რომელმაც 35 წლის განმავლობაში გაუწია თბილისელებს დაკარგული მდინარის მაგივრობა და რომელიც ახალი ინვესტორის ხელში, 2013 წლიდან მოყოლებული, უსაშველოდ დაშრა და განადგურდა.

ჯიმშერ რეხვიაშვილი
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

„გიურზების შემოსევა“ არ იქნება!

ჰაერის ტემპერატურის მატებასა და თბილისის შემოგარენში ოთხი გიურზას დაჭერის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სოციალურ ქსელში ქვეწარმავლებისა და მათგან თავის დაცვის საშუალებები აქტიური მსჯელობის საგანია.

ცხოველთა მონიტორინგის სამსახურში ადასტურებენ, რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად ცხელ ხაზზე შეტყობინებებმა იმატა, თუმცა ერთი, რომ რიგ შემთხვევებში შეტყობინება ცრუ აღმოჩნდება ხოლმე, მეორეც, სტატისტიკურად ბოლო 5 წლისგან არ განსხვავდება.

ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი რატი მამუკაშვილი მოქალაქეებს ამშვიდებს, რომ მართალია, ქალაქის გარეუბანში ოთხი გიურზას დაჭერა შეძლეს, თუმცა „გიურზების შემოსევასთან“ საქმე არ გვაქვს და არც პანიკის საფუძველი არსებობს.

როგორც სპეციალისტი აღნიშნავს, თბილისში რამდენიმე მცირე ლოკაცია მიიჩნევა გიურზების გავრცელების არეალად, თუმცა მისგან ადამიანის დაკბენის ფაქტი იშვიათია – ბოლო 5 წლის განმავლობაში არ დასტურდება. ის რამდენიმე რეკომენდაციით მიმართავს მოქალაქეებს, მათ შორის, გავრცელებული მითების შესახებაც:

- **ნუ შეეცდებით ქვეწარმავლის ხელით დაჭერას;**
- **გიურზა არ არის აგრესიული ქვეწარმავალი, ამიტომ, თუ გადაადგილების შესაძლებლობას მისცემთ, თავს არ დაგესხმებათ;**
- **იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, გიურზამ გიკბინათ, მინიმუმ სამი საათი გაქვთ, სამედიცინო დაწესებულებას მიმართოთ;**
- **თბილისში ყველაზე მეტად გავრცელებულია ქვეწარმავალი ხოკერა, რომელსაც კბენის ინსტინქტი არ აქვს;**
- **მითია, თითქოს ხმაურით ქვეწარმავლის დაფრთხობას შეძლებთ, რადგან როგორც ირკვევა, ქვეწარმავალს, ხოკერას გამოკლებით, სმენის აპარატი არ აქვს;**
- **ასევე მითია საბურავების დაწვით, გოგირდის ახრჩოლებით შედეგის მიღება;**
- **ქვეწარმავალი არ დაგედევნებათ;**
- **თუ ქვეწარმავალს შეამჩნევთ, დარეკეთ ცხელ ხაზზე – 2 421 424.**

მითები და რეკომენდაციები ქვეწარმავლებთან დაკავშირებით

◎ ხუთი რგოლი

როგორც ველოდით

უკეთ, ვიდრე რიოში — ამ სლოგანით დაიწყო მზადება წინა ოლიმპიადის შემდეგ ტოკიოს თამაშებისთვის ქართულმა სპორტულმა ოჯახმა და მომავალ ლიცენზიანტთა სავარაუდო რაოდენობაც დასახელდა — 30-35.

ვის-ვის და ქართული სპორტის მამებს ყველაზე უკეთ მოეხსენებოდათ საკუთარ შეგირდთა ავ-კარგი, როცა ასეთ ორიენტირზე აკეთებდნენ სწორებას. როგორც აღმოჩნდა, მათ სწორი პროგნოზი გაუკეთებიათ — ამ დღეებში იაპონიაში წამსვლელთა ვინაობა 32-მდე **სალომე ფაჟავამ** გაზარდა.

დიახ, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ეროვნული ნაკრების ლიდერი, რომელიც 2016 წლის ბრაზილიური ფორუმის მონაწილეცაა, ამმავალი მზის ქვეყანაშიც დაიცავს სამშობლოს სპორტულ ღირსებას.

მართალია, მან შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-17 ადგილი დაიკავა და საგზურის დაუფლებამდე მცირედი დააკლდა, მაგრამ „ჯვაროსანს“ მხსნელად იაპონელთათვის გამოყოფილი კვოტა მოევლინა. როგორც მოგეხსენებათ, თითოეულ სახელმწიფოს მაქსიმუმ ორი ტანმოვარჯიშის დელეგირება შეუძლია, ამიტომ მასპინძლის კვოტა (ერთი ლიცენზია) მუნდიალის შედეგის მიხედვით ფაჟავას ერგო.

◎ მოვლენის წინ

აფრიკელებიც გვიფრთხიან

დღეს და 9 ივლისს მსოფლიო თასის მოქმედი მფლობელი სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრები პრეტორიის „ლოფტუს ვერსფილდზე“ და იოჰანესბურგში ივლისის ტესტებზე „ბორჯღალოსნებს“ უმასპინძლებს, ხოლო შემდეგ „ბრიტანელ ლომებთან“ სამმატჩიან პრინციპულ სერიას გამართავს.

მართალია, ბევრს ჩვენი გუნდისა და მისი მრისხანე მეტოქის დამდეგი შეხვედრები უთანასწორო ბრძოლად მიაჩნია, მაგრამ საყურადღებოდ გვესახება ბლუმფონტეინში საანვრთნელ შეკრებაზე მყოფი „ბოკეს“ შერკინების კვაჭის **ბონგი მბონამბის (35 კეპი)** დაუფარავი განცხადება, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ფავორიტი სტუმრებთან ჯახს საკმაოდ სერიოზულად ეკიდება:

„სანამ ბრიტანელებს შევერკინებით, მთელი ყურადღება კავკასიელებთან ბრძოლაზე გვაქვს გადატანილი. ქართველებს ძალიან კარგი შერკინება ჰყავთ, თამაშის თავისებური, ყველასგან განსხვავებული სტილით. ბევრს ვმუშაობთ, რომ მათთან დასაპირისპირებლად ოპტიმალური ტაქტიკა შევარჩიოთ და სრულ მზადყოფნაში დავხვდეთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, შეხვედრების წინ სათანადო ფიზიკური კონდიციები ავკრიფოთ, მით უფრო, რომ ქართველებიც და ბრიტანელებიც მოედანზე უხეში ძალით გამოირჩევიან, თუმცა, საიდუმლო არც ისაა, რომ ორთაბრძოლები და ჯახი ჩვენც გვიყვარს. მოკლედ, ესეცაა მიზეზი, რომ ჩვენს ორგანიზმს, კუნთოვან მასას შესაბამისად ვამზადებთ და გუნდი ნელ-ნელა სულ უფრო უკეთესად გამოიყურება“.

დავძენთ, რომ დღევანდელი ისტორიული მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი „ტელეიმედზე“ 21 საათზე დაიწყება.

◎ ევრო — 2020

უბოძეს და ირგებენ

გაჭიანურებული ბრექსიტით ევროკავშირის ხმაურიანი დატოვების შემდეგ უეფა ინგლისელთა გულის მოგებას ცდილობს და საამისოდ ევრო — 2020 შესანიშნავი საბაბია.

ჰოდა, ფეხბურთის სამშობლოს, რომელსაც უკვე შორეული 1966 წლის შემდეგ, ისიც ტოფიკ ბახრამოვის „უნებლიე შეცდომით“, სანაკრებო დონეზე ღირებული არაფერი მოუგია, და გერმანიასაც მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში ამარცხებდა, სასათბურე პირობები შეუქმნეს და უკრაინელებთან ზეგინდელი მეოთხედფინალის გარდა (რომი) ყველა მატჩი „უემბლიზე“ დაუნიშნეს.

სასურველი კალენდარი კარგია, მაგრამ, მოგეხსენებათ, მას გამოყენება უნდა, გარეთ საუთგეიტის გუნდი კი ჯერჯერობით ბოძებული შანსით ჩინებულად სარგებლობს.

ინგლისი - გერმანია 2:0

გოლები: სტერლინგი, კეინი.

ჯგუფურ რაუნდში შედარებით უფერული თამაშისგან განსხვავებით, პრინციპულ და უხერხულ მეტოქესთან (12 მოგება, 4 ფრე და 15 წაგება) ამჯერად მასპინძლები ღირსეულად გამოიყურებოდნენ და დამსახურებულად გაიმარჯვეს, თუმცა ამაში ხელი ვერნერმა და მიულერმა შეუწყვეს, რომლებმაც მეკარე პიკფორდთან პირისპირ გასვლა ვერ აქციეს გოლებად, სტერლინგი კი 3 ზუსტი დარტყმით პარტნიორებს ახალ ლიდერად მოევლინათ.

სხვათა შორის, ინგლისი ერთადერთია, ვისაც ევროფორუმზე ბურთი ჯერაც არ გაუშვია, მისმა თავკაცმა კი სტუმრებს რევანში უკვე მწვრთნელის ამპლუაში აუღო 25 წლის წინათ უიღბლო პენალტის გამო. დავძენთ, რომ წარმატებაში დიდი წვლილი 2 ზუსტი პასით რეზერვისტმა გრილიშმა შეიტანა.

უკრაინა - შვედეთი 2:1

(დამატებით დროში, ძირითადი დრო — 1:1)

ძნელია გაიხსენო უსენსაციო ტურნირი. ამჯერად ყველაზე დიდი სიურპრიზის ავტორი ანდრეი შევჩენკოს გაწვრთნილი უკრაინის ნაკრებია, რომელიც ერთადერთი მოგებითა და სხვათა ხელის წაკვრით გავიდა პლეი-ოფში და მერვედფინალიც კი დაძლია. ისე, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შემთხვევითობა რამდენჯერმე არ მეორდება.

მეოთხედფინალები

2 ივლისი. ესპანეთი — შვეიცარია. პეტერბურგი. 20 საათი.

2 ივლისი. იტალია — ბელგია. მიუნხენი. 23 საათი.

3 ივლისი. დანია — ჩეხეთი. ბაქო. 20 საათი.

3 ივლისი. ინგლისი — უკრაინა. რომი. 23 საათი.

ამასობაში დასრულდა კოპა ამერიკის ჯგუფური რაუნდი, რომელიც აშკარა უპირატესობით მოიგეს არგენტინამ და მასპინძელმა ბრაზილიამ, ხოლო ტურნირს ნაადრევად გამოეთიშნენ და პლეი-ოფს მიღმა დარჩნენ ბოლივია და ვენესუელა.

რაც შეეხება მეოთხედფინალს, მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

3 ივლისი. პერუ — პარაგვაი, ბრაზილია — ჩილე; 4 ივლისი. ურუგვაი — კოლუმბია, არგენტინა — ეკვადორი.

◎ ოცნების გუნდი

მიდი და ებრძოლე

მართალია, ნბა-ში პლეი-ოფები ჯერაც გრძელდება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობა უკვე გამოცხადდა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ტოკიოს მოახლოებულ ოლიმპიადაზე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი იქნება.

ოცნების გუნდი 10-18 ივლისს საკონტროლო შეხვედრებს გამართავს ავსტრალიასთან (ორჯერ), არგენტინასთან, ესპანეთთან, ნიგერიასთან და იაპონიაში ასეთ ვარსკვლავურ დესანტს გადასხამს:

მცველები — ბრედლი ბილი („ვაშინგტონი“), დევინ ბუკერი („ფინიქსი“), დრიუ ჰოლიდეი („მილუოკი“), ზაკ ლივაინი („ჩიკაგო“) და დემიან ლილარდი („პორტლენდი“).

ფორვარდები — კევინ დურანტი („ბრუკლინი“), ჯერემი გრანტი („დეტროიტი“), დრეიმონდ გრინი („გოლდენ სტეიტი“), კევინ ლავი („კლივლენდი“), კრის მიდლტონი („მილუოკი“) და ჯეისონ ტეიტუმი („ბოსტონი“).

ცენტრი — ბენ ადებაიო („მაიამი“).

◎ მსოფლიო ლიგა

წყალს რომ ენა ჰქონდეს...

მართალია, საბერძნეთის ნაკრები წყალბურთის ელიტის წევრია, რასაც თბილისში მიმდინარე მსოფლიო ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იტალიის უძლიერეს გუნდთან ღირსეულად წაგება — 8:11 მოწმობს, მაგრამ მასთან ტოლ-სწორად გამკლავება ჩვენც რომ შეგვიძლია, ამასწინანდელ ტოკიოს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირშიც დავამტკიცეთ — მხოლოდ 10:11 დავუთმეთ.

საფიქრებელი იყო, რომ ელადელებს დიდ ბრძოლას საკუთარ აუზშიც გავუმართავდით, მაგრამ შარშანდელი ანტირეკორდი მიმდინარე მსოფლიო ლიგის მეოთხედფინალში გავიმეორეთ და ამჯერადაც 12-ბურთიანი უპირატესობით — 8:20 (მაშინ — 5:17) „ჩავიძირეთ“.

ვარსკვლავებით დახუნძლულ სტუმრებს 5 გოლით ფუნტულისი შეეწია, ხოლო მას შემდეგ, რაც ტრავმამოშუშებული ვლახოპულოსი დაუბრუნდებათ, რომელიც საქართველოში არ ჩამოსულა, ისინი იაპონური ფორუმის მედლებისკენ საფუძვლიანად გაიქაჩებიან.

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის ოთხთა მინი-ტურნირში ყაზახეთის გუნდთან საინფარქტო მარცხით ჩავებით და გუშინ VII პოზიციის დასაკავებლად ფრანგებთანაც წავაგეთ — 5:10.

საქართველო - ყაზახეთი 15:16

(პენალტებით, ძირითადი დრო — 11:11 (2:3, 5:0, 3:4, 1:4)

ჩვენი არ იყოს, სტუმრებსაც გამორჩეული ტრადიციები უმაგრებთ ზურგს — მოგეხსენებათ, საბჭოთა წყალბურთში ალმაათის „დინამო“ (შარონოვი, კოტენკო, მენდიგალიევი, აიაპბერგენოვი, ბაიუნოვი, ორაზალინოვი) ყველასათვის ანგარიშგასაწევი მეტოქე იყო და წარმატებებსაც აღწევდა.

მათ მემკვიდრეებს დაუმატეთ ლეგიონერთა ტრიო ვუკშანოვიჩის, მარკოვიჩისა და მშიდერის შემადგენლობით და მიხვდებით, რამაც განაპირობა ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება, თამაშებისთვის მზადების პროცესი კი გადამწყვეტ ფაზაშია შესული, რამაც ასახვა ტაბლოზე ჰპოვა.

პირველი პერიოდი (2:3). სწრაფმა შეტევებმა და ზუსტმა შორეულმა ტყორცნებმა, ელაჩას დუბლის მიუხედავად, ყაზახებს დაწინაურების საშუალება მისცა.

მეორე პერიოდი **(5:0).** მეკარე რაზმაძის დიდებული თამაში, შედეგიანი იერიშები (შუშიაშვილი, ვაპენსკი — 2-2, ბითაძე) და დაცვაში ისეთი თავგანწირვა, რომელმაც ბოლო წუთზე მეტოქის ორკაციანი რიცხობრივი უპირატესობის მოგერიება შეგვაძლებინა — აი, ზღაპრული 8 წუთის საიდუმლო, რომელიც საუკეთესოა დეიან სტანომივიჩის ქართულ სამწვრთნელო კარიერაში.

მესამე პერიოდი (3:4). მართალია, ზედიზედ სამი გაშვებული ბურთის შემდეგ ვაპენსკიმ, ბარალდიმ და შუშიაშვილმა იყოჩაღეს, ხოლო ბოლო წამებზე რაზმაძემ თვით ვუკშანოვიჩს აუღო პენალტი, მაგრამ უკვე იგრძნობოდა სტუმართა უკეთესი ფუნქციონალური მომზადება.

მეოთხე პერიოდი (1:4). აღნიშნული მოსაზრება დასკვნითმა პერიოდმა გაგვიმყარა, როცა მაგრაქველიძის ბოლო ზუსტ ტყორცნას მარკოვიჩმა, მედვედევმა, შაკენოვმა და ვუკშანოვიჩმა ერთბაშად ოთხით უპასუხეს და ტიტანური ძალისხმევით იხსნეს მკვდარი მატჩი, თანაც, კრიტიკულ ვითარებაში ნერვებმა დააღალატა სერბეთის „ნოვი ბელგრადის“ უდავოდ უნიჭიერესი 18 წლის ლეგიონერი ნიკა შუშიაშვილი, რომელმაც ჯერ კარში დარტყმისას იჩქარა, ხოლო შემდეგ მსაჯებს საბედისწერო გაძევება გამოსტყუა, რომელიც გაშვებულ ბურთად დაგვიჯდა.

პენალტების სერია (4:5). ნერვების ომში ელაჩა და ვაპენსკი შეცდნენ — ისინიც ხომ ადამიანები არიან!

კი ბატონო, წყალბურთიც სპორტია და მსგავსი დასანანი შემთხვევებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ როცა ერთ სეზონში რამდენიმე თვის ინტერვალით ზედიზედ მეორედ ანიავებ სოლიდურ უპირატესობას, ეტყობა, ფსიქოლოგიური არამდგრადობა ტენდენციად ყალიბდება.

მხედველობაში გვაქვს ჩემპიონთა ლიგის რვათა ფინალში გამსვლელ მატჩში მომხდარი ფაქტი, როცა ჩვენი ნაკრების საბაზო კლუბმა თბილისის „დინამომ“ 5:2-ის შემდეგ 5:6 წააგო გერმანულ „ჰანოვერთან“ და ძირითად რაუნდს მიღმა დარჩა.

ხომ არ დადგა ფსიქოლოგის მოწვევის დრო?



თამაზ კუნჭულია

გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **თამაზ კუნჭულია**.

ბატონი თამაზი დაიბადა 1935 წლის პირველ ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, პედაგოგის ოჯახში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ღირსებით, შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით. 1954 წელს სოფელ ჯურუყვეთის საშუალო სკოლის ვერცხლის medალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1959 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. სხვადასხვა წლებში მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ; იყო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის უფროსი მასწავლებელი; 1977-1981 წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ანალიზისა და მეცნიერების სექტორის გამგე; 1981 წელს დაინიშნა ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარედ და იმავე წელს აირჩიეს საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1985 წელს — საქართველოს კპ ოზურგეთის რაიკომის პირველ მდივნად; 1990 წლიდან იყო საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის დარგში; 1994-1996 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ ეკონომიკისა და ფინანსების დარგში; 1997-1998 წლებში იყო სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაის“ გენერალური დირექტორი, 1999-2005 წლებში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ჯერ საფინანსო-ეკონომიკური, შემდეგ სტრატეგიული განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; 2005-2008 წლებში მუშაობდა აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 2008-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიური დეპარტამენტის უფროსად, 2012 წლიდან — მთავარ სპეციალისტად; 2012 წელს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლად.

2003 წელს ბატონი თამაზი არჩეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 2013 წლიდან იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

ბატონი თამაზი გახლდათ 200-მდე შრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიისა და 2 გამოგონების ავტორი. მისი სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები“ პირველი ნაშრომია ამ თემისადმი მიძღვნილი საქართველოში, რომელიც წიგნადაა გამოცემული.

აკად. თამაზ კუნჭულია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კადრების მომზადებას, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია. იგი დაჯილდოვებული იყო „ღირსების“ ორდენით.

ბატონი თამაზის შრომები და პრაქტიკული საქმიანობა მიძღვნილი იყო აგრარული ეკონომიკის ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების განვითარების პრობლემები, საადგილმამულო რეფორმა, აგრარული სფეროს საწარმოთა პრივატიზება, საგადასახადო სისტემის (ფისკალური პოლიტიკის) სრულყოფა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი აგრარული სფეროს განვითარებაში, მცირე ბიზნესის პრობლემები, სასოფლო- სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის, პროგრამული დაფინანსების პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები. მისი თანაავტორობით დამუშავებულია საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სურსათის უსაფრთხოების სტრატეგია. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალი სამთავრობო დადგენილებისა და პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტების მომზადებაში; უძღვებოდა რუბრიკას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიწის პრივატიზაციის საკითხებზე; თ. კუნჭულიას ხელმძღვანელობით დამუშავებული იყო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „ჩაი“ და მისი რეალიზაციის ღონისძიებები.

წავიდა კიდევ ერთი ღვაწლმისილი ადამიანი ჩვენი რიგებიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს. აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება იუწყება, რომ მოულოდნელად, ტრაგიკული შემთხვევის გამო, გარდაიცვალა სკოლის წლებიდან მეგობარი, ცნობილი სპეციალისტი და გამორჩეული მოქალაქე

ნოდარ ხორგუანი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს მეუღლეს ივეტა ლაღიძეს და შვილებს.
საზოგადოების სახელით:

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, ლიანა წურწუმია, იური ალანია, ბესლან ქორქია, მურთაზ გვაზავა, გია სვანიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, ვახტანგ ჩიქოვანი.

დრნ ჟუანი თავისუფალია, უფრთხილდით, ქალებო!

სასამართლომ **გოგი წულაია 6 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაში ბრალდებული გოგი წულაია 6 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.**

გოგი წულაიას ადვოკატის ვალერი გელბახიანის განცხადებით, დღევანდელ პროცესზე სასამართლოს წარუდგინეს ახალი მტკიცებულებები მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რაც სასამართლომ გაითვალისწინა და აღკვეთის ღონისძიების სახედ შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეუცვალა.

„სასამართლოში დაყენებულიყო შუამდგომლობა და წარედგინა მტკიცებულებები მისი ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით, რომელიც გაცემული იყო ციხის საექიმო პერსონალის მიერ. მითითებული იყო, რომ თუ ის ამ რეჟიმში დარჩებოდა, შესაძლოა, დამდგარიყო გაუთვალისწინებელი შედეგი. სასამართლომ გაითვალისწინა ეს გარემოება და პატიმრობა 6000-ლარიანი გირაოთი შეუცვალა“, — განაცხადა ვალერი გელბახიანმა.

გოგი წულაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს. ბრალდება 4-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: ტექნოლოგიური გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP)

პროექტის განმახორციელებელი: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: P169599

ხელშეკრულების ნომერი: GE-GITA-222940-CS-CDS

გამარჯვებული მონაწილე:	Verkor S.A.
ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:	17 ივნისი, 2021
შერჩევის მეთოდი:	კონსულტანტის პირდაპირი წესით შერჩევის საფუძველზე
ხელშეკრულების ღირებულება:	25,550.54 ევრო (გადასახადების ჩათვლით)
ხელშეკრულების ხანგრძლივობა:	3 თვე
ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება:	*მაწვანეზის პროდუქტის ანალიზი და მასალის სინთეზი*

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
599 79-76-79; 568 82-09-84

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრემის მთავარანგელოზთა ტაძარში ქართველი მეფის ლევან ბაგრატიონის აკლდამას მიაკვლია.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული მუზეუმი ავრცელებს.

„ლევან მეფეს მისი დიდი ღვაწლის გამო შთამომავლობამ „დიდის“ და „აღმშენებლის“ ზედწოდებანიც კი მიანიჭა: მან 54 წელი იმეფა (1518-1574 წწ) ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად წარმოქმნილ კახეთის სამეფოში და მისი გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკის წყალობით, ქვეყანამ არნახულ სტაბილურობას და ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია. მართალია, ისტორიული წყაროების და გადმოცემების მიხედვით, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებითაც, ეს დიდი მოღვაწე ქალაქ გრემში, მისივე ძალისხმევით აგებულ მთავარანგელოზთა ტაძრის კომპლექსში უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მაგრამ ამ განსასვენებლის კონკრეტული ადგილი უცნობი იყო, ვინაიდან საფლავის ქვა ან სხვა ზედმიწევნითი მინიშნება არ არსებობდა. მიმდინარე არქეოლოგიური კვლევის დროს ტაძრის დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, შემაღლებული პლატფორმის ქვეშ, კედელზე გამოსახული ტაძრის გვირგვინოსანი ქტიტორის – ლევან მეფის ფერწერული გამოსახულების წინ გამოვლინდა აგურით საგულდაგულოდ გამოყვანილი, თაღური კამარით გადახურული აკლდამა, რომელშიც ორსაფეხურიანი





დრომოსით ჩადიოდნენ. აკლდამაში ნეშტთან ერთად XVI საუკუნის რამდენიმე ნაკეთობაც აღმოჩნდა. გამოვლენილი ნეშტის პირველადი ანთროპოლოგიური შეფასება არ ეწინააღმდეგება საფუძვლიან მოსაზრებას, რომ აკლდამაში აღმოჩენილი ნეშტი სავარაუდოდ ლევან მეფეს ეკუთვნოდა. საბოლოო იდენტიფიცირებისთვის, მოპოვებული ნეშტის ფრაგმენტებისა და აკლდამის ინტერიერიდან აღებული სხვა ნიმუშების კვლევა ტექნიკური მეთოდებით ჩატარდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე საზღვარგარეთის სპეციალიზირებულ ლაბორატორიებში“, – აღნიშნულია ეროვნული მუზეუმის ინფორმაციაში. მათივე განმარტებით, არქეოლოგიურ სამუშაოებს მხარს უჭერს საქართველოს საპატრიარქო და ნეკრესის ეპარქია, ბაგრატიონთა ოჯახის შთამომავლები და აგრეთვე კახეთის რეგიონში მოღვაწე საქმიანი წრეებით დაკომპლექტებული საინიციატივო ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა, საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით უღრმეს მადლობას გიხდით, რომ თქვენი მხარდაჭერით, ღია ცის ქვეშ, 9 აპრილის სახელობის პარკში, დაწესებული რეგულაციების დაცვით, ა. წ. 27 ივნისს გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონის, ამავე ასოციაციის წევრის ემა ძანძავას წიგნის „ჩემი ტურფა აფხაზეთის“ პრეზენტაცია.

პაგივისცემით, ორგანიზატორი
ნანა ჭიჭინაძე.

ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲐ

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ეხმიანება ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ერთ-ერთ გადაცემაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მწერალთა სახლის ხელმძღვანელის ნატა ლომოურის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ლიტერატურული პრემია „საბას“ გაცემა „მიდის ხუთი ადამიანის სუბიექტურ გემოვნებამდე“.

სამინისტრო აცხადებს, რომ მოცემული შეფასება მისი ავტორის პირადი მოსაზრებაა და არ გამოხატავს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პოზიციას.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲜᲘᲫᲚᲐᲕᲘᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ...

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ რააბმა გერმანელ კოლეგას, ჰაიკო მაასს ერთი ყუთი ლუდი მოუგო.

სანაძლეო ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალის მატჩს შეეხებოდა რომელშიც ერთმანეთს ინგლისისა და გერმანიის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ.

„მე და ჩემი ბრიტანელი კოლეგა ვთანხმდებით თითქმის ყველაფერზე, როცა საქმე საერთაშორისო დღის წესრიგს ეხება, მაგრამ არა იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს დღეს „უემბლიზე“. მატჩის გამარჯვებული ერთ ყუთ ლუდს მოიგებს. გერმანიამ „უემბლიზე“ ბოლო 7 მატჩში მარცხი არ იცის, ასე გაგრძელეთ!“ – დაწერა ჰაიკო მაასმა Twitter-ზე მატჩის დაწყებამდე. ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში ინგლისმა გერმანია 2:0 დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა. შესაბამისად, დომინიკ რაბმა ჰაიკო მაასს ერთი ყუთი ლუდი მოუგო.

ᲔᲥᲕᲡᲯᲔᲠ ᲩᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ...

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ წყვილი, რომელმაც ქორწილის გამართვა ექვსჯერ სცადა, დაქორწინება მეშვიდე ცდაზე, სიდნეიში ლოკდაუნის ამოქმედებამდე რამდენიმე საათით ადრე მოახერხა. 32 წლის ნიკი და 30 წლის ჯოელი დასაქორწინებლად ჰარბორ სითიში, ახალ სამხრეთ უელსში ჩავიდნენ, რათა ვიქტორიაში გამოცხადებული ლოკდაუნისთვის დაეღწიათ თავი. მაგრამ, როცა ცერემონიამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, გაირკვა, რომ ლოკდაუნი ახალ სამხრეთ უელსშიც გამოცხადდა და მის ამოქმედებამდე რამდენი საათი დარჩა.

„ამჯერად ძალიან მოწადინებული ვიყავი, არ მენერვიულა. ვიცოდი, რომ ყველაფერი გამოგვივიდოდა“, – უთხრა ნიკიმ ჟურნალისტებს. შემდეგ გაირკვა, რომ იმ ქორწილების გამართვა, რომლებიც ლოკდაუნის პირველ შაბათ-კვირას იყო დაგეგმილი, ნებადართულია. მანამდე წყვილმა ქორწილისთვის 2 სხვადასხვა ადგილი შეარჩია და 7 თარიღიც მოინიშნა, თუმცა დაქორწინების ყველა მცდელობა ჩაეშალათ. მათ მიერ შერჩეული პირველი ადგილი – „კენგურუების ხეობა“ 2020 წლის ხანძრის დროს დაიწვა, შემდეგ კი ავსტრალიამდე კორონავირუსმა ჩააღწია.

როდესაც ავსტრალიაში ეპიდსიტუაცია დასტაბილურდა, ნიკიმ და ჯოელმა აღმოაჩინეს, რომ 2020 წლის გაუქმებული ჯავშნების გამო, ქორწილისთვის ადგილის დაქირავება ძალიან რთული იყო. თუმცა მათ გადაწყვიტეს, რომ მეტი ლოდინი აღარ უნდოდათ და ქორწილის თარიღად 26 ივნისი შეარჩიეს. რათა ქორწილისთვის არაფერს შეეშალა ხელი, ჯოელმა და ნიკიმ სტუმრების რაოდენობა 50%-ით შეამცირეს და მელბურნში ცერემონიამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩავიდნენ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ დოლარი - 3.1659; ევრო - 3.7639;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ სტერლინგი - 4.3876;
100 რუბლი - 4.3274; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3640;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8644;
1000 სომხური დრამი - 6.3950.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+18,	ᲓᲦᲔ	+35
ᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+33

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+34
ᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+14,	ᲓᲦᲔ	+34
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+23,	ᲓᲦᲔ	+35

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge